ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 23 თებერვალი, 2016 | №44 (6970) | ფასი: 50 თეთრი

23 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
გაბრიელ გარსია მარკესი
იცხოვრო, რომ მოჰყვე
წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ
ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი




# „ლამიყლააპია ნარმანია ერთ-ერთი პარტიიდან უქნარობისთვის გამოაგდეს“



გვ.3

„საგარეჯოს არჩევნებში მეც და მთავრობის დიდი ნაწილიც რესპუბლიკელი კანდიდატის წაგებას ვქომაგობდით“

## გიგლა ბარამიძე: „ნაციონალებზე პრორუსული ძალა საქართველოში არ არის“




## კახა კალაძე: „ქართული ოცნება“ აუცილებლად დაიშლება“



გვ.4

რესპუბლიკელებმა მრეწველებთან ომი შეწყვიტეს

## გოგი თოფაძე: „კოალიციიდან ვერავინ გაგვრიცხავს“





## სანდრო ბრეგაძე: „ირაკლი ღარიბაშვილი რესპუბლიკელებმა გადააყენეს“



გვ.2




„ირმა ინაშვილს მოგებული არჩევნები თინა ხიდაშელმა ძალით წაართვა“

## ვალერი გელბახიანი: „თუ ღარიბაშვილი პოლიტიკაში ჩაერთო, საარჩევნო სუბიექტების გამსხვილება დაიწყება“



გვ.7

„რესპუბლიკელები კოალიციაში მარტო სუბიექტის როლს არ ასრულებენ“



## მიხეილ დუნდუა: „ქადაგიძის ნაქადაგარი მხოლოდ პოპულიზმზეა გათვლილი“

„ეროვნული ბანკი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს არ ასრულებს“



გვ.6

## ბაჩუკი ქარდავა: „მოქმედი საარჩევნო სისტემით ხელისუფლების დამარცხება შეუძლებელია“






გვ.5

„კვირიკაშვილთან მეორე შეხვედრაზე იმედებს არ ვამყარებ“

ISSN 1987-9385

## თორნიკე შარაშენიძე: „რუსეთი ვიზალიბერალიზაციაში ხელს ვერ შეგვიშლის“



გვ.2




გვ.4

## გრიპის ვირუსით უკვე 18 ადამიანია გარდაცვლილი

# სანდრო ბრეგაძე: „ირაკლი ღარიბაშვილი რესპუბლიკელებმა გადააყენეს“

## „საგარეჯოს არჩევნებში მეც და მთავრობის დიდი ნაწილიც რესპუბლიკელი კანდიდატის წაგებას ვქომაგობდით“

ნონა ცაბაძე

სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე **სანდრო ბრეგაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მისი გადაყენების დეტალებზე საუბრობს და სხვა საინტერესო ინფორმაციებსაც ასაჯაროებს.

***– ბატონო სანდრო, დაახლოებით ერთი კვირის წინ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან საუბრობდით, რომ თქვენი გადადგომის საკითხი არ განიხილებოდა. რა შეიცვალა ამ პერიოდში? რატომ მოგიხდათ თანამდებობიდან წამოსვლა?***

– მე არ წავსულვარ ჩემი ინიციატივით. მე მაიძულეს, რომ წავსულიყავი და ამაში ძალიან დიდი განსხვავებაა. მე პირდაპირ წამომიყენეს ულტიმატუმი.

***– რაში მდგომარეობდა ეს ულტიმატუმი?***

– ეს მდგომარეობდა იმაში, რომ თუ მე გავაგრძელებდი საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ბრძოლას, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვას გულისხმობს, მომხსნიდნენ თანამდებობიდან, ხოლო თუ გავჩერდებოდი და გავხდებოდი კონფორმისტი, შემეძლო, დავრჩენილიყავი და დაწინაურებასაც დამპირდნენ.

***– ვინ წამოგიყენათ ეს ულტიმატუმი?***

– საქართველოს მთავრობამ. მეთაურით დაწყებული, დამთავრებული მინისტრებით.

***– „ქართული ოცნების“ მთავრობაში მხოლოდ თქვენ იყავით ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი, დანარჩენი ყველა თანახმაა?***

– მე არ ვიცი, თანახმანი არიან თუ არა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ამისთვის ხელს არავინ ანძრევს. თუმცა დარწმუნებით გეტყვით, რომ უახლოეს ხანებში თვითონ „ქართული ოცნება“ გამოვა ამ ინიციატივით.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მათ დაინახეს, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს. თუ ეს საკონსტიტუციო ცვლილება არ იქნება მიღებული, მაშინ მოსახლეობის მხარდაჭერა ფაქტობრივად აღარ იქნება. შეიძლება ბევრი ადამიანი გულში გვიჭერდეს მხარს, მაგრამ მათ გამბედაობა არ ყოფნით, რომ ეს ხმამაღლა თქვან. ერთადერთი, ვინც ღიად მხარს არ უჭერდა ამ ინიციატივას და ამ ყველაფრის წინააღმდეგი გამოდიოდა, ეს გახლდათ რესპუბლიკური პარტია. სწორედ თინა ხიდაშელი გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც კედელთან მიაყენა საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აიძულა, ეს გადაწყვეტილება მიეღო!



***– რატომ, რა გავლენა აქვს ასეთი თინა ხიდაშელს პრემიერ-მინისტრზე?***

– ეს თავად ხიდაშელს და პრემიერ-მინისტრს უნდა ჰკითხოთ. მე არ ვიცი მათი პირადი და ინტიმური ურთიერთობები რა ფაზაში და რა დონეზეა. თუმცა ერთი რამ ცხადზე ცხადია – მას შემდგომ, რაც რესპუბლიკელებმა მოიცილეს პრემიერის პოსტიდან ირაკლი ღარიბაშვილი, დღეს ისინი არიან აღმასრულებელ ხელისუფლებაში დომინანტები.



### „ირმა ინაშვილს მოგებული არჩევნები თინა ხიდაშელმა ძალით წაართვა“

***– ანუ?***

– ისინი დომინირებენ ყველა სფეროში, ყველა პოზიციაზე. როდესაც ღარიბაშვილი გადადგა, ნაციონალებზე მეტად სიხარულს რესპუბლიკელები გამოხატავდნენ.

***– თქვენ ამტკიცებთ, რომ რესპუბლიკელების ძალისხმევით მოხდა ღარიბაშვილის გადაყენება?***

– რა თქმა უნდა. ეს რესპუბლიკელების უდიდესი სურვილი იყო და განახორციელეს კიდეც. ეს ყველაფერი მომდინარეობს 2012 წლიდან. ბატონი ღარიბაშვილი არც მაშინ არ იყო აღფრთოვანებული რესპუბლიკური პარტიით.

***– ეს არის პიროვნული დაპირისპირება თქვენსა და რესპუბლიკელებს შორის?***

– მე პიროვნულად არავის ვუპირისპირდები, აქ არის დაპირისპირება იდეოლოგიებს შორის. რესპუბლიკელები არიან იმ იდეოლოგიის მოწინააღმდეგეები, რომელსაც ეროვნული იდეოლოგია ჰქვია. რესპუბლიკელები ნაციონალებთან ბევრად უფრო ახლოს დგანან, ვიდრე კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებთან.

***– თქვენ ადრე ასე ღიად არ დაპირისპირებიხართ რესპუბლიკელებს. რა შეიცვალა?***

– როდესაც მთავრობის წევრი ხარ, რაღაცისგან თავი უნდა შეიკავო. თუმცა ვერც იმას მეტყვით, რომ ჩემი და რესპუბლიკელების სიყვარული ძალიან დიდი იყო, ან მე და ხიდაშელი შორიდან ვეტრფოდით ერთმანეთს. ეს ასე არ იყო. ჩვენ შორის მუდმივად იყო აზრთა სხვადასხვაობა. სერიოზული განხეთქილება დაიწყო ექვსი თვის წინ.

***– რასთან დაკავშირებით?***

– მაშინ, როდესაც რესპუბლიკური პარტიის წევრები და თინა ხიდაშელი ჩადგნენ ირაკლი ვაჭარაძის დამცველთა რიგებში. მაშინ ვაჭარაძემ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს უწოდა საქართველოს ნომერ პირველი მტერი და მოითხოვა მისი დაპატიმრება. სწორედ თინა ხიდაშელი იყო, რომელიც მაშინ ირაკლი ვაჭარაძეს თავგამოდებით იცავდა იმ ე.წ. არასამთავრობოებთან ერთად, რომლებიც ნაციონალური მოძრაობისგან კონტროლდებიან. სწორედ მაშინ მოითხოვა თინა ხიდაშელმა ჩემი თანამდებობიდან გადადგომა.

***– რატომ, პატრიარქი რომ დაიცავით?***

– დიახ, პატრიარქი რომ დავიცავი, მარტო ამის გულისთვის. შეუძლიათ ამოიღონ მაშინდელი მთავრობის სხდომის ჩანაწერები და თუ გაასაჯაროებენ, ყველა ნახავს, რა ამაზრზენ მოვლენასთან გვქონდა საქმე, როდესაც პატრიარქის შეურაცხმყოფელებს თავგამოდებით იცავდნენ რესპუბლიკელები. იქ იყო კიდევ ერთი-ორი მინისტრი, რომლებმაც დაიცვეს ეკლესიის მტრების პოზიცია. თუმცა იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამ ხალხს თავისი ადგილი მიუჩინა.



ბატონმა კვირიკაშვილმა ვერ გაუძლო რესპუბლიკელების ზეწოლას და პირიქით მოხდა, კვირიკაშვილს მიუჩინეს თავისი ადგილი.

***– ასეთი რა გავლენა აქვთ რესპუბლიკელებს, რომ დაიმორჩილეს კვირიკაშვილი?***

– კვირიკაშვილი არ არის ცუდი პიროვნება, ის საკმაოდ ჰუმანური ადამიანია, მაგრამ მას არ ჰყავს ძლიერი გუნდი. ეს ახალი მინისტრები, ქუმსიშვილები და მისნაირები, არიან უსახური ადამიანები, რომლებსაც კაციშვილი არ ცნობს. გუნდი პოლიტიკურად შესუსტდა, ხოლო რესპუბლიკელები ამას სათავისოდ იყენებენ და არწმუნებენ ლიდერებს, რომ თუკი რესპუბლიკური პარტია მათ გვერდით არ იქნება, მაშინ დასავლეთის ცივილიზებული სამყაროს მხარდაჭერას დაკარგავენ, ხელისუფლებისადმი მხარდაჭერაც გაქრება და ასე შემდეგ.

***– მაშინ გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილის დარწმუნებაც ადვილად მოახერხეს რესპუბლიკელებმა, რადგან საუბარია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მისი ფავორიტი იყო. მასზეც ახდენენ ზეგავლენას?***

– მე დეტალებზე საუბარი არ მინდა, რადგან უშუალოდ არ ვყოფილვარ ამ პროცესებში ჩართული. მე შე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# თორნიკე შარაშენიძე: „რუსეთი ვიზალიბერალიზაციაში ხელს ვერ შეგვიშლის“

## „თუ ხელისუფლებამ დემოკრატია უხეშად დაარღვია, ევროპა დიდი ხნით შეგვაქცევს ზურგს“

ბექა გოგინაშვილი

საქართველო ძალიან ახლოს არის ვიზალიბერალიზაციის მიღებასთან, რაც გულისხმობს უვიზოდ მიმოსვლის საშუალებას სხვადასხვა ქვეყნებში.

ეს ქვეყნები შენგენის ზონაში მდებარე 22 სახელმწიფოა, რომლებშიც შედის საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და ა.შ. ამ ქვეყნებში მოგზაურობა შესაძლებელი იქნება 90 დღის განმავლობაში.

ვიზალიბერალიზაციის მიღება საქართველოს ყოველდღიურ ყოფაში ბევრ ცვლილებას შეიტანს.

პოლიტოლოგი და ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე ამბობს, რომ ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს მეტი საშუალება ექნებათ იმოგზაურონ და თავისი თვალით ნახონ, სად ჯობია ცხოვრება – რუსეთში, თუ ევროპაში.

– რაც უფრო მეტად ინფორმირებულია საზოგადოება, ის უფრო კარგ და სწორ არჩევანს აკეთებს. ჩვენთან ინფორმირებულობის და განათლების დეფიციტია და ვიზალიბერალიზაცია პირველს მაინც მიხედავს, თუმცა მეორესაც მიხედავს თანდათანობით, – აცხადებს **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ საუბარში.



***– არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ მიგრაცია მოიმატებს და საქართველოს მოსახლეობა შემცირდება?***

– არანაირად. ეს არ ნიშნავს მიგრაციის უფლებას, ეს მხოლოდ მოგზაურობის საშუალებაა და მეტი არაფერი. ვისაც უცხოეთში დარჩენა სურს, ამას ვიზალიბერალიზაციის გარეშეც ახერხებს კანონიერად თუ უკანონოდ.

***– როგორ იმოქმედებს ვიზალიბერალიზაცია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე?***

– ამაზე ნაწილობრივ გიპასუხეთ – უფრო მეტად ინფორმირებული ხალხი უკეთეს არჩევანს გააკეთებს და უფრო ნაკლებად მოტყუვდება ისეთი სისულელეებით, როგორიცაა ზოგიერთი მცდარი შეხედულება ევროპის შესახებ.

***– მაგალითად?***

– მაგალითად ის, რომ ევროპა პედოფილების ბუდეა. ასეთი სიბნელის პროპაგანდა სურს იმას, ვისაც უნდა, რომ მუდმივად ბნელებად დავრჩეთ, მაგალითად, რუსეთს. რუსეთის პოზიციების შესუსტების გარდა, ეს გამოიწვევს იმას, რომ უკეთ ინფორმირებული ხალხი მეტს მოსთხოვს პოლიტიკოსებს და ისინი ველარ გავლენ ფონს პოპულისტური დაპირებებით და მიტინგებზე ღრიალით. მოუწევთ რაღაც ისწავლონ და საქმე აკეთონ.

* * *

***– აქედან გამომდინარე, რუსეთს ვიზალიბერალიზაცია არ აწყობს. როგორ შეეცდება რუსეთი ამ პროცესისთვის ხელის შეშლას? ანუ რა მექანიზმებს გამოიყენებს ამისთვის?***

– მადლობა ღმერთს, რუსეთი ბევრ ხათაბალაში გაიხლართა და ჩვენთვის იმდენად არ სცალია. თანაც გაუჭირდება ლეგიტიმური საბაბის მოძებნა, რომ ეს გააპროტესტოს და ხელი შეგვიშალოს. გარდა ამისა, რუსეთი ძლიერია მხოლოდ ტანკებით, ე.წ. რბილი ძალის სტრატეგია კი მას არ ესმის. რომ ესმოდეს, თავად გააუქმებდა წლების წინ სავიზო რეჟიმს. ახლა ალბათ ამის გაკეთებას აპირებს ევროკავშირის საპასუხოდ, მაგრამ მისთვის ეს უკვე გვიანია.

***– რამდენად დააახლოებს ვიზალიბერალიზაცია საქართველოს ევროკავშირთან?***

– ჩვენ ევროკავშირში გაწევრიანება გვინდა. აქამდე რეალურად ხელს ის გვიშლიდა, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა უბრალოდ არ იცოდა, რა იყო ევროკავშირი. როცა არ იცი, რა არის ევროკავშირი და მთავრობა უბრალოდ გიჩიჩინებს, რომ იქაურობა კარგია, ეს საქმეს დიდად არ შველის.

როცა ჩვენი მეტი მოქალაქე იმოგზაურებს ევროპაში და საკუთარი თვალით ნახავს, თუ როგორ მუშაობენ ფერმერები, როგორია განათლების სისტემა და საერთოდ რა კარგია იქ ცხოვრება, აი მაშინ კი ნამდვილად სწრაფად წავალთ ევროკავშირისკენ.

***– ერთი შეკითხვაც. თქვენი აზრით, არის თუ არა რაიმე დაბრკოლება ვიზალიბერალიზაციის მიღებასთან დაკავშირებით? ან შეიძლება თუ არა გაჩნდეს ის მომავალში?***

– წესით, არა. ანუ თუ რაიმე ცუდი არ მოხდა. ცუდი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიის უხეში დარღვევა. ეს თუ მოხდა, მაშინ ევროპა დიდი ხნით შეგვაქცევს ზურგს, ან ჩათვლის, რომ ამ მთავრობას არ სურს ევროპასთან დაახლოება და ყველაფერს ძალით აფუჭებს, რის შემდეგაც ევროკავშირიც ჩვენთან არჩევნებს დაელოდება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ლამიყლაპია ნარმანია ერთ-ერთი პარტიიდან უქნარობისთვის გამოაგდეს“

## გიგლა ბარამიძე: „ნაციონალებზე პრორუსული ძალა საქართველოში არ არის“

შორენა მარსაგიშვილი

მოხდება თუ არა დემოკრატიული მოძრაობის გაერთიანება მრეწველებთან და ეროვნულ ფორუმთან, რატომ არ გამოიძია ხელისუფლებამ ნაციონალების დანაშაულებები, საიდან გააძევეს დავით ნარმანია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკური მდივანი, ერთ-ერთი ლიდერი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ უკვე ღიად საუბრობენ, რომ მათ რიგებს ეროვნული ფორუმი გამოაკლდება. მათმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ თქვენი პარტიის ლიდერ ნინო ბურჯანაძეზე ბევრი კარგი რამ თქვა. არის ვარაუდი, რომ ფორუმი და დემოკრატიული მოძრაობა შესაძლოა გაერთიანდნენ. ამასთან დაკავშირებით თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, „ქართულ ოცნებაში“ კიდევ უფრო დაიძაბება ურთიერთობა და ხელოვნურად შეთითხნილ ერთობაში ბევრი რამ შეიცვლება. არც ისაა გამორიცხული, ფორუმიც წამოვიდეს იქედან. რაც შეეხება მათთან ჩვენს გაერთიანებას, გამორიცხული არაფერი არაა, მაგრამ ამ მომენტისთვის ამ თემაზე საუბარი არ მიმდინარეობს და დემოკრატიული მოძრაობა დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობას.

გუბაზ სანიკიძის განცხადებები გასაკვირი არაა. მისი და ნინო ბურჯანაძის ოჯახები მეგობრობენ და კარგი ურთიერთობები აქვთ. გუბაზს მეც კარგად ვიცნობ უნივერსიტეტიდან და მის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის ალიანსი გაფორმდება. თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის.

***– რაკი გამორიცხული არაფერი არაა, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ძალებიდან რომელთან არის შესაძლებელი თქვენი თანამშრომლობა? თქვენი პარტიის მსგავსად, მრეწველთა ფრაქციაც სკეპტიკურად არის განწყობილი ნატოს მიმართ. მათთან თუ არის შესაძლებელი თანამშრომლობა?***

– პოლიტიკაში რამის სიყვარული არ არსებობს. ჩვენ მოგვწონს ის, რაც ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება და მეორე, ჩვენ სურვილებით კი არ ვცხოვრობთ, არამედ არსებული რეალობიდან გამოვდივართ. ნატოს მიმართაც არ ვართ სკეპტიკურად განწყობილი, უბრალოდ ვამბობთ, რომ 2008 წლის შემდეგ ნატოში ჩვენი გაწევრიანება პრაქტიკულად შეუძლებელია.

როდესაც ნატოზეა საუბარი, ყოველთვის ვინტერესდებით, როგორ ესახებათ იქ ჩვენი გაწევრიანება, ეს არის და ეს. რაც ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ნატოს წინააღმდეგი ვართ. მათ გასაგონად, ვინც ჩვენ პრორუსულობას გვაბრალებს, ვიტყვი, რომ ჩვენ ვართ ევროპული მსოფლმხედველობის მქონე პარტია და ამის შესახებ პარტიის პროგრამაშიც გვიწერია.

მრეწველებთან თუ ითანამშრომლებთო, მკითხეთ და ამის პასუხად ვიტყვი, რომ ჩვენთვის მისაღებია ის ძალა, რომლისთვისაც ეროვნული ინტერესები უპირველესია. ამასთან დაკავშირებით მეტს აღარ დავაკონკრეტებ.

***– ნაციონალები ამტკიცებენ, რომ მათთვისაც მთავარია ეროვნული ინტერესები. ეს ძალაც მისაღებია დემოკრატიული მოძრაობისთვის?***

– ნაციონალური მოძრაობა როგორ უნდა იყოს ჩვენთვის მისაღები? მათი განცხადებები ეროვნული ინტერესების დაცვაზე არის სასაცილო, მათი საქმეები სხვა რამეს ამტკიცებს. ეროვნულობის გარდა, ევროპელობას იჩემებენ და შვიდივე ბრუნვაში ატრიალებენ რუსეთს, ამის მიუხედავად, საქართველოში მაგათზე პრორუსული ძალა არ არსებობს.






**„ქართული ოცნება“ ყოფილ ხელისუფლებას განტევების ვაცად იყენებს“**

რუსეთს საქართველოში ისეთი სარგებელი არასდროს უნახავს, როგორც ეს ნაციონალების მმართველობის დროს მოხდა. ყოფილმა ხელისუფლებამ მოსკოვს ტერიტორიები და სტრატეგიული ობიექტები პირდაპირ უფეშქაშა. ასე კარგად რუსულ საქმეს ვერც ერთი მეფისნაცვალი ვერ გააკეთებდა. დღეს ეს ხალხი უკრაინაში ე.წ. რეფორმებს ატარებენ. აქაც არ ჩერდებიან და ხელისუფლება თავის მართლების რეჟიმში ჰყავთ გადაყვანილი, რაც „ქართული ოცნების“ უსუსურობის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

***– ნაციონალების კრიტიკა არ არის ობიექტური, თუნდაც იგივე მერიის მუშაობის მიმართ? თქვენი პარტიაც ცუდად აფასებს ნარმანიას მუშაობას. და რაკი მასზე ვსაუბრობთ, როგორ შეაფასებთ მის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურორის შვილის დაფინანსებით ქვეყანა არ დაიქცა?***

– „ქართულმა ოცნებამ“ უდიდესი შეცდომა დაუშვა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სისტემური დანაშაულის გამოძიება რომ არ დაიწყო. აქედან გამომდინარე წარმოიშვა კოაბიტაცია და ამის ბრალია, რომ ნაციონალები იქეთ უქნევენ ხელებს მოქმედ ხელისუფლებას. ეს ქართულ სახელმწიფოს აზარალებს და ესაა ძალიან ცუდი.

ხელისუფლებას ახასიათებს კიდევ ერთი ცუდი თვისება. დაშვებული შეცდომების თუ უუნარობის გადაფარვის მიზნით ხელს ნაციონალებისკენ იშვერს. ისინი რომ ცუდები იყვნენ, „ქართული ოცნების“ გარეშეც კარგად ვიცით. ახლა გვაინტერესებს, თუ ასეთი ცუდები იყვნენ, რატომ არ აღიარეს სისტემური დანაშაული?! აღედგინათ სამართლიანობა. ამას არ აკეთებენ, სამაგიეროდ, ხელის გაშვერა კარგად ისწავლეს და სიცუდეში დაუწყეს შედარება.

მათი უუნარობის დასადასტურებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ნარმანიაზე დამისვით კითხვა და მასზე შევჩერდები. იმდენ საშინელებებს აკეთებს, რომ მის გამო სოფელი კოკი იწვის სირცხვილით. ვიღაც დამაბრალებს, მერს წარმომავლობას უწუნებსო, არა, ბატონებო, მე უვიცობაზე მაქვს საუბარი. ასეთი გაუბედურებული დედაქალაქი არავის ახსოვს. თბილისი უპატრონოდ არის მიშვებული. სხვა რა უნდა ვთქვა ქალაქზე, სადაც 32.000 ადამიანი შიმშილობს. ეს ოფიციალური მონაცემებია, სინამდვილეში ბევრად მეტი მოქალაქე ცხოვრობს უკიდურეს გაჭირვებაში.

ამ დროს სოციალურად დაუცველების ფონდიდან მერი თანხას პროკურორის ოჯახს აძლევს. აქ იურიდიულ კაზუისტიკასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ეს გახლავთ მორალური დანაშაული. ეს ლამიყლაპია მერი გამოდის და უსირცხვილოდ იძახის, რომ ამით ქვეყანა არ დაქცეულა.

***– დაიქცა თუ არა ქვეყანა?***

– ამ თანხის გამოყოფის გამო ქვეყანა ნამდვილად არ დაქცეულა, მაგრამ ნარმანიას ქმედებებმა და მიდგომებმა ნამდვილად დააქცია დედაქალაქი.

***– მთელ პასუხისმგებლობას თქვენ ნარმანიას აკისრებთ, მერია ამბობს, რომ ის შეცდომაში იქნა შეყვანილი და თანაც ის ყველა საბუთს ვერ***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ჩეხეთის პრემიერი: „საქართველომ დაამტკიცა, რომ საიმედო პარტნიორია“

– ჩეხეთი მხარს უჭერს თქვენი ქვეყნის სწრაფვას ევროკავშირსა და ნატოში და მზად არის, ამ მიმართულებით საქართველოს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს. საქართველომ დაამტკიცა, რომ საიმედო პარტნიორია, – ეს განცხადება ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ბუჰუსლავ სობოტკამ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე და ვიზალიბერალიზაციის პროცესში სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჩეხ კოლეგას მასპინძლობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

– ჩვენ დიდად ვაფასებთ სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების, ცოდნისა და უნარების გაზიარებასაც. მეორე მხრივ, ჩვენ კიდევ მეტის გაკეთება შეგვიძლია, რათა გავაღრმავოთ და უფრო ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირებულად ვაქციოთ ჩვენი ურთიერთობები, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.



გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდი პოტენციალია, რომელიც სრულად უნდა იყოს გამოყენებული. ქართული მხარე ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა გაიზარდოს სავაჭრო ბრუნვა, გაღრმავდეს ეკონომიკური კავშირები და ხელი შეეწყოს ბიზნესებს შორის თანამშრომლობას.

– ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩეხეთის მხრიდან საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდაჭერას. აღმოსავლეთ პარტნიორობის წარმატება არის ჩვენი საერთო პრიორიტეტი და ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა ურთიერთობების განმტკიცება.

ჩვენი პარტნიორების, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკის, მტკიცე მხარდაჭერითა და დახმარებით, საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე: ჩვენ წარმატებით ვაგრძელებთ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებას, ასევე წარმატებით შევასრულეთ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რაც დაადასტურა კიდეც კომისიამ თავის საბოლოო ანგარიშში, და მოუთმენლად ველით უახლოეს მომავალში ჩვენი მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას, როგორც საქართველოს ერთგულებისა და რეფორმების გზაზე დაუღალავი შრომის დამსახურებულ აღიარებას, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ჩეხეთის რესპუბლიკის მხრიდან საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევ მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**ნიუსპრესი**

## სანდრო ბრეგაძე: „ირაკლი ღარიბაშვილი რესპუბლიკელებმა გადააყენეს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მიძლია ვისაუბრო ჩემს თავზე და იმ პროცესებზე, რომლებიც ჩემ ირგვლივ განვითარდა.

დიახ, მე მომთხოვეს, გავმხდარიყავი კონფორმისტი და დავმორჩილებოდი რესპუბლიკურ პარტიას და მის ამბიციებს, ან წავსულიყავი თანამდებობიდან! მეც ავდექი და წამოვედი. მე ამით მაგალითი ვაჩვენე იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემნაირად ფიქრობენ, რომ თანამდებობა არ ღირს იმად, რომ ჩვენს იდეებს და მრწამსს ვუღალატოთ.

***– საუბარია, რომ ივანიშვილმა დაგავალათ, რესპუბლიკელებს ასე ღიად დაპირისპირებოდით. ასეა?***

– მეც გამიგია ამ საუბრების შესახებ, თუმცა ეს ხომ წარმოუდგენელია. არავის არაფერი არ დაუვალებია. მე არავის დაკრულზე არ ვცეკვავ. ძალიან მოკლე ხანებში ბევრი რამ გამოჩნდება. ბევრი ახალი გადაწყვეტილება გახდება ცნობილი, ამიტომ წინასწარ რაიმე განცხადებების კეთებისგან თავს შევიკავებდი.

***– ხომ არ გიხილავთ ირაკლი ღარიბაშვილის პარტიაში? საუბარია, რომ ის ახალ პარტიას ქმნის.***

– მე არ ვიცი, ირაკლი ღარიბაშვილი აპირებს თუ არა პარტიის შექმნას. ის არის ჩემი მეგობარი, ის არის პატრიოტი ადამიანი და პრინციპების ერთგული ადამიანი. ამ პრინციპებს ირაკლი ღარიბაშვილმა შესწირა თანამდებობა.

***– დაიწყო კოალიციის რღვევის პროცესი?***

– ეს კოალიცია ერთი იდეოლოგიის გარშემო არ შექმნილა, ის შეიქმნა ერთი იდეის გარშემო, რომ მიხეილ სააკაშვილი დაგვემარცხებინა. ჩვენ ეს მისია წარმატებით შევასრულეთ. დღეს თუ ვინმეს სინდისი და ნამუსი აქვს, უნდა ადგეს და საკუთარი რეიტინგის იმედად გამოვიდეს საპარლამენტო არჩევნებში.

ხომ არ შეიძლება, ერთპროცენტიანი რესპუბლიკური პარტია, ქუჩის მათხოვარივით, მუდამ ჩამოკიდებული იყოს სხვა პარტიებზე, მათ რეიტინგზე. მე პატივს ვცემ ყველა იდეოლოგიას, თუნდაც ჩემთვის მიუღებელს, მაგრამ პატივს არ ვცემ ადამიანებს, რომლებსაც პრინციპები არ აქვთ და მუდმივად ცდილობენ, სხვისი ავტორიტეტის გამოყენებით დაიკავონ პოლიტიკური თანამდებობები.

***– თქვენ დღეს რესპუბლიკელებზე წყენა გალაპარაკებთ?***

– მე რასაც გესაუბრებით დღეს, ეს არის იავნანა იმასთან შედარებით, რასაც მთავრობის წევრები თუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები საუბრობენ რესპუბლიკურ პარტიაზე. ყველა წინააღმდეგია რესპუბლიკელების.

მეტსაც გეტყვით. როდესაც იყო საგარეჯოში არჩევნები, პირადად მეც და მთავრობის ძალიან ბევრი წარმომადგენელი, ვქომაგობდით, რომ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელს წაეგო ეს არჩევნები.

***– თუმცა ასე არ მოხდა.***

– შეურაცხმყოფელი იყო ის, რაც მოხდა. პირადად თინათინ ხიდაშელის მეოხებით, ფალსიფიკაცია მოხდა არჩევნების და ქალბატონ ირმა ინაშვილს წაართვეს მოპოვებული გამარჯვება.

***– თქვენვე ახსენეთ ეს თემა და თოფაძესა და ხიდაშელს შორის ვინ არის მტყუან-მართალი?***

– მათ შორის ვინ არის მტყუან-მართალი, მე ამის განმსჯელი არ ვარ. მე შემიძლია სიმართლე ვთქვა, რომ საგარეჯოში არჩევნების ფალსიფიკაცია მოხდა და გამარჯვება პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელს ძალით წაართვეს! ეს შეურაცხმყოფელია, რადგან სააკაშვილის რეჟიმს სწორედ ამ ძალადობისთვის დავუპირისპირდით. ეროვნულად მოაზროვნე და ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები რესპუბლიკელებთან ერთად ვერ ვიქნებით!

***– თუმცა თავიდან სიამოვნებით დათანხმდით რესპუბლიკელებთან ერთად ყოფნას. რა შეიცვალა?***

– მაშინ ერთმა იდეამ გაგვაერთიანა, რომ დამარცხებულიყო მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი!

***– შესაძლოა, რომ 2016 წლის არჩევნებზე ვიხილოთ კოალიცია მინუს რესპუბლიკელები?***

– მე არ ვიცი, როგორი სახით იქნება კოალიცია მომავალ არჩევნებში. მე მიმაჩნია, რომ ამ არჩევნებში ყველა პარტია ცალ-ცალკე უნდა გავიდეს და მოსახლეობას მიეცეს არჩევანის გაკეთების საშუალება. ალბათ ეს ასეც მოხდება.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კალაძე: „ქართული ოცნება“ აუცილებლად დაიშლება“

## რესპუბლიკელებმა მრეწველებთან ომი შეწყვიტეს

შორენა მარსაგიშვილი

26 თებერვალს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერების შეკრება და საქმის გარჩევა იგეგმება. მმართველ გუნდში ისეთი ამბები დატრიალდა, წესით, აქამდეც უნდა შეკრებილიყვნენ.

თავყრილობამდე ლიდერები ვითარების მოწესრიგებას შეეცდებიან. რესპუბლიკელებმა პირობა დადეს, საჯაროდ აღარ ვიკამათებთო, ონავარი გოგი თოფაძის მოთოკვა კი სერიოზულად გაჭირდა.

კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კალაძემ სამწუხარო უწოდა იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკელებსა და გოგი თოფაძეს შორის დაპირისპირებამ ასეთი სერიოზული სახე მიიღო.

მართალია, დაპირისპირება სერიოზულია, მაგრამ კალაძე იმედოვნებს, რომ კოალიცია არჩევნებამდე მისვლას არსებული სახით შეძლებს. მერე კი მის დაშლას პროგნოზირებს.

– ადრე თუ გვიან, ალბათ კოალიცია აუცილებლად დაიშლება. ამაში ტრაგედია არაფერია. პოლიტიკა არის დინამიკური პროცესი და შესაძლებელია, ერთ დღეს ეს ასეც მოხდეს, თუმცა უახლოეს მომავალში ამას ვერ ვხედავ და ვფიქრობ, კოალიცია არჩევნებზე წარდგება ისევ იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც დღეს არის, თუმცა არჩევნებამდე ძალიან ბევრი დროა და მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კახა კალაძემ.

მისი წინასწარმეტყველების პარალელურად საგანგებო განცხადება გაავრცელა რესპუბლიკური პარტიის თავქალმა ხათუნა სამნიძემ. მან ქართველ რესპუბლიკელთა სახელით გვამცნო, რომ მისი პარტია საჯარო დებატებზე უარს ამბობს.

დადუმებამდე კი თანაპარტიელთა სახელით მან გოგი თოფაძეს ქოქოლა დააყარა და მის განცხადებებს სულ ანტისახელმწიფოებრივი უძახა.

– ბოლო დღეებში რესპუბლიკელები იძულებული გავხდით, საჯარო და მკაცრი პასუხი გაგვეცა კოალიციის ერთ-ერთი პარტნიორი პარტიის წარმომადგენლისთვის. ეს განაპირობა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის და ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მიმართ გაჟღერებულმა განცხადებებმა, რომლებიც თავისი შინაარსით იყო არა მხოლოდ ცილისმწამებლური, არამედ ანტიკოალიციური და ანტისახელმწიფოებრივი, – ამბობს სამნიძე.





მისი თქმით, რესპუბლიკელებზე თავდასხმებმა დაგეგმილი შეტევის ხასიათი მიიღო და ისინიც იძულებული გახდნენ, თანაპარტიელთა პრესტიჟი დაეცვათ.

ხათუნა სამნიძე კმაყოფილია, რომ პრემიერმა მათი შეჩვენება გულთან ახლოს მიიტანა და თოფაძის განცხადებებს დამზიანებელი და მიუღებელი უწოდა.

რესპუბლიკელთა თავქალის თქმით, მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ პრობლემა შიდა კოალიციურ რეჟიმში უნდა გადაწყდეს. ამას რესპუბლიკელები ეთანხმებიან და მზად არიან მდუმარებაში ჩავარდნენ, ოღონდ მხოლოდ დროებით.

– რესპუბლიკელები ამ ეტაპზე ვწყვეტთ საჯარო დებატებს აღნიშნულ თემაზე, რადგან ველით კოალიციის შიდა ფორმატში როგორც კოალიციური, ისე სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე შექმნილი ვითარების მიზეზებსა და მიზნებზე მსჯელობას, რის შედეგადაც მიღებული იქნება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფს კოალიციის წარმატებულ ფუნქციონირებას მის სადამფუძნებლო დოკუმენტში გაცხადებული პრინციპებისა და ღირებულებების მტკიცე დაცვით. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მომავალში სათანადო რეაგირების გარეშე დავტოვებთ უსაფუძვლო ბრალდებებს, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ისინი, – აცხადებს სამნიძე.

### გოგი თოფაძე: „კოალიციიდან ვერავინ გაგვრიცხავს“

გავრცელებული ინფორმაციით, მავანმა კოალიციიდან თოფაძის გარიცხვა მოითხოვა. ამაზე თოფაძემ თქვა, მე, ჩემი მრეწველებიანად, საკუთარი ნებით წავალ, ოღონდ ხიდაშელი და ბერძენიშვილებიც თან მომეწიონო.

ახლა კი მრეწველთა ლიდერი ამბობს, რომ არც ის და არც მისი თანაპარტიელები კოალიციას არავითარ შემთხვევაში არ დატოვებენ. გარიცხვით კი, როგორც თავად ამბობს, ვერავინ გარიცხავს.

– კოალიციიდან ჩვენი გარიცხვის უფლება არავის აქვს, ჩვენც არსად ვაპირებთ წასვლას. ვთქვი, რომ გასატანი მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სურსათის უვნებლობას ეხება. ამას რომ გავაკეთებ, მერე გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე, – აცხადებს თოფაძე.

მისი თქმით, მიმდინარე მოვლენები კოალიციის ერთობას საფრთხეს არ უქმნის:

– არა მგონია, ასეთი საფრთხე არსებობდეს. ძმები ბერძენიშვილების და ქალბატონის გარდა, ამის თქმას ვერავინ მიბედავს, – აღნიშნა თოფაძემ.

* * *

სანამ მხარეები ფარული ომის რეჟიმზე იქნებიან და პოლიტსაბჭო განაჩენს გამოიტანს, მოჩხუბართა განეიტრალებას პარლამენტიც შეეცდება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ამბობს, რომ მმართველი გუნდის ინტერესია, დაპირისპირება რაც შეიძლება სწრაფად ამოიწუროს და კოალიცია დარჩეს ერთიანი.

– ჩვენ გვინდა, რომ ხმაური, რომელიც საჯარო სივრცეში მიმდინარეობს, რაც შეიძლება დროულად დასრულდეს. ამისთვის აუცილებელია პოლიტსაბჭოს ფორმატში მსჯელობა. იმედი მაქვს, ეს მალე იქნება. რაც მთავარია, ეს დაპირისპირება თუ პრობლემა, რაც არსებობს, ამოიწურება სწორედ იმ ინტერესების გათვალისწინებით, რაც არის არა მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, არამედ ზოგადად კოალიციის, ხელისუფლების სიმყარის და ერთობის, ჩვენი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, – ამბობს კობახიძე.

ვიცე-სპიკერის განმარტებით, ამაზე სერიოზულად უნდა ისაუბროს კოალიციაში. მანამდე კი რაიმე განცხადებების გაკეთება გამართლებულად არ მიაჩნია.

– ნაადრევი განცხადებები, მით უმეტეს, საკმაოდ მწვავე, ურთიერთობებს უფრო დააზიანებს. ეს არ იქნება მიმართული მდგომარეობის განმუხტვისკენ. ჩვენი ინტერესია, ეს დაპირისპირება რაც შეიძლება სწრაფად ამოიწუროს და კოალიცია დარჩეს ერთიანი, მყარი მექანიზმის სახით, – განაცხადა ვიცე-სპიკერმა.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკის განცხადებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დაგეგმილი პოლიტსაბჭოს სხდომა ცხელი და ხმაურიანი იქნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხდომის ჩატარება აუცილებელია.

– მრეწველები ამბობენ, რომ გოგი თოფაძის განცხადებები არ ეხება მათ კურსს და საერთოდ, შეხედულებას საგარეო კურსთან დაკავშირებით და შიდა პრობლემები აქვთ მეორე გუნდთან. სწორედ ეს, მეორე გუნდთან არსებული პრობლემების საკითხი, უნდა გაირჩეს, – აცხადებს ფრაქციის თავმჯდომარე.

გია ვოლსკი აღნიშნავს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში მხარს არ დაუჭერს კოალიციის დაშლას.

# მამუკა ახვლედიანი: „დანებებას არ ვაპირებ“



თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება პირადი შურისძიებაა, რადგან იგი ხშირად აკრიტიკებდა იუსტიციის საბჭოს მუშაობას და პირადად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნინო გვენეტაძეს.

მამუკა ახვლედიანი ტელეკომპანია „იმედთან“ საუბარში აცხადებს, რომ ის ხვალიდან არასამთავრობოებთან აქტიურ კონსულტაციებს იწყებს და არ გამორიცხავს სარჩელის მომზადებას უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

მამუკა ახვლედიანი მისი გათავისუფლების ყველა მოტივის სინამდვილეს უარყოფს და აცხადებს, რომ მხოლოდ მოსამართლეების მოთხოვნითა და კანონით მინიჭებული უფლებით მოქმედებდა.

ამასთან, ახვლედიანი აღნიშნავს, რომ დანებებას არ აპირებს.

საბჭოს მიერ გაკეთებული განცხადებით კი მამუკა ახვლედიანის ხმაურიანი განცხადებები მის გადაყენებასთან კავშირში არაა. განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ მამუკა ახვლედიანი არ ურთიერთობდა საბჭოსთან და, შესაბამისად, კომუნიკაციის პრობლემა იყო.

შეგახსენებთ, რომ საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე 22 თებერვალს გამართულ საბჭოზე არ გამოცხადდა.

**ნიუსპრესი**

# გრიპის ვირუსით უკვე 18 ადამიანია გარდაცვლილი




დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი საქართველოში გრიპის ვირუსის გავრცელების ახალ სტატისტიკას ავრცელებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, H1N1-ით გარდაცვლილთა რაოდენობამ უკვე 18 შეადგინა.

მიუხედავად ამისა, სპეციალისტები გრიპის გავრცელების ინტენსივობის კლებაზე ამახვილებენ ყურადღებას.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, ამირან გამყრელიძის თქმით, ყველა შემთხვევა, რომელიც ლეტალურად დასრულდა, დაგვიანებულმა მკურნალობამ გამოიწვია.

**ნიუსპრესი**

# „ლამიყლაპია ნარმანია ერთ-ერთი პარტიიდან უქნარობისთვის გამოაგდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***შეამოწმებს, რომელზეც ხელს აწერს. თქვენც გეკავათ მაღალი თანამდებობა და ბევრ საბუთზე აწერდით ხელს. მართლა შეუძლებელია ყველა საბუთის წაკითხვა?***

– თანამდებობის პირი შეძლებისდაგვარად ყველა დოკუმენტს უნდა ეცნობოდე, იქნებ რაზე გაწერინებენ ხელს. ამის გარდა, არსებობს იურიდიული სამსახური, რომელიც ამ საბუთს სწავლობს, სანამ ის პირველ პირთან ხელმოსაწერად შევა. მაინტერესებს, დაიდო თუ არა ამაზე იურიდიული სამსახურის დასკვნა. ასევე საინტერესოა, რა თქვა საფინანსო სამსახურმა.

არ მინდა მთელი ყურადღება პროკურორის ოჯახზე გადავიდეს, რადგან აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ამ სხვა რამეს მუცელღმერთობა და ხაზინაწაპნიობა ჰქვია, რასაც მერიის თანამშრომლები ხშირად ავლენენ. ამ დროს გამოდის მერი და ამბობს, მერე რა მოხდაო.

ამ ადამიანს უკვე იმდენი სისულელე აქვს ნარატრატევი, რომ კარგა ხანია, მისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დამდგარიყო. სამწუხაროდ, თბილისელებმა მეტი პრინციპულობა ვერ გამოვიჩინეთ, თორემ მას გადავირჩევდით.

***– არჩეული მერის გადარჩევა ასეთი მარტივია?***

– ჯერ ერთი, არჩეული კი არა დანიშნული მერია. მის გადაყენებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. რამდენიმეათასკაციანი მიტინგია საჭირო იმისთვის, რომ საკრებულო შეიკრიბოს და მერის იმპიჩმენტის საკითხი დასვას.

***– წავა საკრებულო ამაზე?***

– ამ ხელისუფლების წამალი არის მედიაში მხილება და საპროტესტო აქციები, დანარჩენი არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. საკმარისია, რამდენიმე ათასმა კაცმა მოითხოვოს მერის გადადგომა, რომ ეგრევე შეკრებენ საკრებულოს და მის იმპიჩმენტის საკითხს დასვამენ. არა აქვს იმპიჩმენტი გამოსაცხადებელი თუ რა?

ისე გამომდის, რომ ნარმანიას ვარ გადაკიდებული, მაგრამ დააქცია თბილისი და ხმა არ ამოვიღო?! მაგის შესაძლებლობებიც კარგად ვიცი და „ბაგაჟიც“. ისიც ვიცი, ერთ-ერთ პარტიაში რომ მუშაობდა და იქედან უქნარობისთვის გამოაგდეს. ეტყობა, ბუნებით ასეთია და ვერ შეცვლი, მაგრამ ის რას გვერჩოდა, ვინც ეგ კაცი მოძებნა და მერის პოსტზე დაასახელა, მანამდე კი სამინისტრო ჩააბარა.

***– იმ კაცმა, ანუ ივანიშვილმა, რომელმაც მოიძია ნარმანია, რატომ ვერ შეაფასა მისი შესაძლებლობები?***

– ეს კითხვა ბიძინას უნდა დავუსვათ. აქამდე თუ ვერ გაიგო მისი უნარების შესახებ, იმედია, ახლა მაინც ხვდება და ეგეც არ ფიქრობს, მერე რა მოხდაო.

***– ნარმანიაზე ბევრი კი ვისაუბრეთ, მაგრამ ერთი ინტრიგანული რამე თქვით და კიდევ მასზე უნდა გკითხოთ, რომელი პარტიიდან გამოაგდეს უსაქმურობისთვის?***

– ამას არ ვიტყვი, თუმცა კარგად თუ გაიკითხავთ, ადვილად გაიგებთ. ის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ფინანსურ სამსახურში იყო დასაქმებული. როცა ეს ამბავი გავიგე, იმ პარტიის წევრებს ვკითხე, აქ როგორ მუშაობდათქო. მითხრეს, არც ცოცხალი იყო და არც მკვდარიო. ეს ამბავი მაშინ გავიგე, მინისტრი რომ იყო. მთელი ის პარტია ინფრასტრუქტურის სამინისტროს დასტიროდა, საწყალი უწყებაო. ესენი კიდევ ადგნენ და მთლად თბილისის მერად მოგვივლინეს.

***– ზემოთ თქვენ რამდენჯერმე აღნიშნეთ, „ქართულმა ოცნებამ“ სისტემური დანაშაული არ გამოიძიაო. ამაზე სხვებიც საუბრობენ. თქვენი აზრით, რატომ არ წავიდა ხელისუფლებაზე ამაზე?***

– „ქართულ ოცნებას“ სჭირდებოდა განტევების ვაცი. ამიტომაც არ მოხდა მათი დანაშაულების გამოძიება. ვხედავთ, რომ როგორც კი რაიმე გადაცდომაზე მიუთითებენ, ეგრევე ხელს წინა ხელისუფლებისკენ იშვერენ.

იმას ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებაში არავის უნდოდა დამნაშავე ნაციონალების დასჯა. სამწუხაროდ, ისინი ზედმეტად აყვნენ საერთაშორისო სტრუქტურებს, რომლებიც მოგვიწოდებენ, რომ წარსული არ უნდა გავიხსენოთ. კაცო, წარსული თუ არ გავიხსენე, აწმყო როგორ უნდა ავაშენო?!

***– გამოძიება რომ დაეწყოთ, რა მოხდებოდა, დაგვსჯიდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები?***

– არაფერსაც არ დაგვსჯიდნენ. ამათ ნორმალურად რომ წარმოედგინათ ფაქტები, ის საერთაშორისო ორგანიზაციებიც არ ამოიღებდნენ ხმას. ამათ თავი არ აიტკივეს, თავიანთი უმოქმედობა საერთაშორისო თანამეგობრობას დააბრალეს.

ის ხალხი, რომლებიც სამართალდამცავ უწყებებში დანაშაულს სჩადიოდნენ, ისევ სამსახურებში არიან. მართალია სამსახურები შეუცვალეს, მაგრამ მაინც თანამდებობებზე სხედან. ამის კლასიკური მაგალითი გახლავთ ლევან მურუსიძე. უმაღლესი საკონსტიტუციო საბჭო ხომ საერთოდ სექტად იქცა და რასაც უნდა, იმას აკეთებს. ამ უკანონობაზე საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა მამუკა ახვლედიანმა ამოიღო ხმა და ერთი ამბავი აუტეხეს, მის თანამდებობიდან გადაყენებას აპირებენ.

ასეთი ვითარება აშკარად აწყობს ხელისუფლებას, თავისი ხომ გაინაღდა და რაში აინტერესებს სხვები. ცოცხალი თავით არ ცვლიან საარჩევნო კოდექსს. არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე იძახდნენ, როგორც კი ქვეყნის მართვის სადავეებს ხელში ავიღებთ, მაშინვე შევცვლითო. შეცვლის ნაცვლად, საკუთარ თავზე მოირგეს.

# ბაჩუკი ქარდავა: „მოქმედი საარჩევნო სისტემით ხელისუფლების დამარცხება შეუძლებელია“

## „კვირიკაშვილთან მეორე შეხვედრაზე იმედებს არ ვამყარებ“

ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კანონმდებლობასა და მისი შეცვლის შესაძლებლობებზე საუბრობს.

**ბაჩუკი ქარდავა:**

— ამ საარჩევნო კანონმდებლობის წინააღმდეგ დღევანდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს იბრძოდა.

***— დღეს რა ხდება?***

— ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას მიღებული საარჩევნო კანონმდებლობა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის სასათბურე პირობებს ქმნის, რომ ხელისუფლება მიითვისოს. მოქმედი კანონმდებლობით, ხელისუფლების დამარცხება არჩევნებში შეუძლებელია.

საარჩევნო რეფორმა იყო არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანების მიზანი ჯერ კიდევ რვიანის ფორმატში. მის შემადგენლობაში იყო კოალიციის დიდი ნაწილი. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ დაიშალა ეს რვიანი. ივანიშვილმა თავის დროზე თქვა, რვიანის დაშლის წინაპირობები რომ არ მენახა, შეიძლება პოლიტიკაში არ მოვსულიყავიო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ადამიანები, პოლიტიკური ძალები, თავიანთ პრინციპებს ივიწყებენ.

***— კონკრეტულად რას?***

— ამ შემთხვევაში თუნდაც საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებას. თუმცა, ხელისუფლება ხედავს, რომ საზოგადოების ასეთი მხარდაჭერის პირობებში მისი შანსები არც ისე სახარბიელოა. ამ საარჩევნო სისტემის გარეშე ხელისუფლება ძალაუფლებას ვერ ინარჩუნებს და ეს ყველამ კარგად იცის.

***— ვენეციის კომისიის დასკვნა მარტში იქნება, მაგრამ შუალედური დასკვნა როგორია, მათ რეკომენდაციებს მთავრობა არ გაითვალისწინებს?***

— ვენეციის კომისია ამ მიმართულებაზე არ მუშაობს. ის დადებს დასკვნას, სადაც რეკომენდაციებიც იქნება, მაგრამ მათი მთავარი რეკომენდაცია საარჩევნო ოლქების თანაბრობის საკითხს შეეხება. იგივე გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ ოლქების გათანაბრებასთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ ოლქები დაჩეხა ისე, როგორ ეს მის ინტერესებში იყო. ამ შემთხვევაშიც არ წავიდა ხელისუფლება კომპრომისზე და თავის სასარგებლო ჭრა-კერვა გააჩაღა.




ის, რაზეც ვენეციის კომისია მუშაობს, სხვა თემაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, დადებით დასკვნას არ დადებს. საარჩევნო სისტემა კი სულ სხვა საკითხია.

***— საარჩევნო სისტემა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური მოლაპარაკების საგანია?***

— სისტემა, რომელიც დღეს რეალურად ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს, არც ერთ ნორმალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არსებობს. ეს არის შერეული სისტემა, მაჟორიტარული და პროპორციული. არავინ ამბობს, რომ მაჟორიტარული სისტემა მიუღებელია. ამ შემთხვევაში შეიძლება გემოვნებაზე ვიდავოთ, მაგრამ იყოს ან ერთი სისტემა, ან მეორე და არა — შერეული.

მოქმედმა საარჩევნო სისტემამ საკუთარი თავი ამოწურა. ამ სისტემის მიხედვით, პოლიტიკური ძალა, რომელიც არჩევნებში 40%-ს იღებს, მაჟორიტარების ხარჯზე ახერხებს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას პარლამენტში. მე ვსვამ კითხვას, ეს რამდენად ლეგიტიმურია? მსგავსი სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ მოქმედებს.

ეს ქვეყნის შიგნით გადასაწყვეტი საკითხია, თუ როგორი სისტემით ჩავატარებთ არჩევნებს, მაგრამ ასევე საშინაო საკითხია, ვიქნებით დემოკრატიული ქვეყანა თუ არ ვიქნებით. თუ დემოკრატიული ქვეყანა არ ვიქნებით, რისი პირველი ნიშანიც არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებაა, ვერც ევროკავშირის წევრი გავხდებით. ამ სისტემით მხოლოდ ევრაზიის კავშირის წევრები ვიქნებით.

ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის თანასწორი საარჩევნო პირობები არის წინაპირობა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების, რაც ჯერ არ გვქონია.

***— ბატონო ბაჩუკი, როგორი მოლოდინი გაქვთ პრემიერთან დაანონსებული მორიგი შეხვედრისგან?***

— გულწრფელად გიპასუხებთ, რომ ჩემი მოლოდინი ბევრად უფრო პოზიტიური იყო პირველ შეხვედრაზე, ვიდრე დღეს.

***— რატომ?***

— დროის გაჭიმვის ტაქტიკა არ წაადგება იმ პოლიტიკურ გარემოს, რომელშიც ვიმყოფებით. პირველი შეხვედრა ბატონ პრემიერთან ნამდვილად იყო პოზიტიური განწყობის შემქმნელი, მაგრამ ახლა აშკარად ჩანს, რომ საბოლოო, შემაჯამებელი შეხვედრა, რომელიც უნდა გაიმართოს, სადაც უნდა იქნას გადაწყვეტილება მიღებული, რომ თუ სისტემას ვერა, კოდექსს მაინც ვცვლით, ვერაფრით შედგა.

არა მგონია, ამის მიზეზი იყოს მხოლოდ პრემიერის მოუცლელობა. არა მგონია, დღეს უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იდგეს, ვიდრე ქვეყანაში დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა.



***— რა არის მიზეზი, თქვენ რა ეჭვი გაქვთ?***

— შიდა პოლიტიკური მდგომარეობა მმართველ კოალიციაში. ეს არის მიზეზი, რატომაც კვირიკაშვილი ვერ ხვდება ოპოზიციას.

***— ფიქრობთ, რომ კოალიციაში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც კვირიკაშვილისგან დაჟინებით ითხოვენ, რომ დათმობაზე არ წავიდეს?***

— არათუ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ ამაში.

***— ვინ არიან ეს პოლიტიკოსები?***

— კონკრეტულ პიროვნებებს ვერ დავასახელებ, რადგან ეს არ არის ჩემი სტილი, მაგრამ გადახედეთ უმრავლესობაში გაკეთებულ განცხადებებს და ეს სახელებიც ცნობილი გახდება.

***— როგორი პარლამენტი შეიძლება მივიღოთ?***

— პროგნოზები არ არის წარმატებული საქმე, მაგრამ თუ არაფერი შეიცვლება, მაშინ მივიღებთ იმ პარლამენტს, რომელიც მივიღეთ, ერთი განსხვავებით, როლები იქნება შეცვლილი.

***— რას გულისხმობთ?***

— ნაციონალური ოცნების გარიგების რეალურ შანსს. სწორედ ისინი გაიყოფენ პირველ და მეორე ადგილებს. დანარჩენ პარტიებს ფონისთვის თუ შეიყვანენ, ეს ნამდვილად არ ნიშნავს მრავალპარტიულობას.

***— ნაციონალები და „ოცნება“ ერთმანეთს გაურიგდებიან?***

— ამის წინაპირობას ვხედავ.

***— წინასაარჩევნოდ არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება მოსალოდნელია?***

— პროგრამები, პრინციპები, პლატფორმა არის ის საფუძველი, რომლის ირგვლივაც უნდა მოხდეს გაერთიანება და არა — ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ თუნდაც მთელი ოპოზიციის გაერთიანება. ბევრად უფრო ეფექტური იქნება ერთი იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალების ერთობა. მე მომხრე ვიქნებოდი ასეთი ერთობის.

***— თუმცა, ეს ალბათ რთული ამოცანა იქნება, ასე არ ფიქრობთ?***

— გეთანხმებით. თუმცა მე ასეთი ერთობისთვის მზად ვარ.

***— აპირებთ პარლამენტში კენჭის ყრას?***

— ჩვენ სხვა საქმე არაფერი გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, რა შედეგი იქნება.

***— თუ აწარმოებთ მოლაპარაკებებს რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან, რათა თქვენი პოზიციები უფრო მყარი იყოს თუნდაც მომავალ არჩევნებზე?***

— შეიძლება მოლაპარაკება ერქვას ორი პარტიის ლიდერის ერთმანეთთან საუბარს პოლიტიკაზე და მიმდინარე აქტუალური საკითხების განხილვას. ასევე შეიძლება მოლაპარაკება დავარქვათ ოფიციალურ მოლაპარაკებას კონკრეტული მიზნისთვის.

ამ ეტაპზე ოფიციალური მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. თუმცა, გარკვეული საუბრები პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რომლებიც მეტ-ნაკლებად ერთ მდგომარეობაში არიან და შეიძლება მათი ერთობა შედეგზე იყოს ორიენტირებული, ბუნებრივია, მიმდინარეობს.

---

## ლევან ბერძენიშვილი: „ჩვენი მინისტრი თინა ხიდაშელი ძალიან კარგად მუშაობს“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ძალიან კარგად მუშაობს და მის მიმართ დეპუტატ გოგი თოფაძის კრიტიკა უსაფუძვლოა.



დეპუტატი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკური პარტია ევროპასთან ინტეგრაციის იდეის ერთგულია, ამიტომ მისი ადგილი სწორედ კოალიციაშია.

ბერძენიშვილის თქმითვე, მმართველი კოალიციიდან ის უნდა გაირიცხოს, ვინც ევროპასთან ინტეგრაციის იდეას არ ემხრობა.

— რატომ უნდა დავაპიროთ გასვლა, გოგი თოფაძემ რამე კარგი გვითხრა და ამიტომ უნდა დავუჯეროთ თუ რა. ჩვენი მინისტრი თინა ხიდაშელი მუშაობს ძალიან კარგად, მე, როგორც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპასთან ინტეგრაციის იდეის ერთგული ვარ. ვინც ამ იდეის ერთგული არ არის, მისი ადგილი კოალიციაში არ არის, ხოლო ჩვენი ადგილი იქ არის, სადაც ახლა ვართ, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

**ნიუსპრესი**

---

## პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საქართველოს პროკურატურის შიდა საკადრო ცვლილებები განახორციელა.




უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, საკადრო გადაადგილებების შედეგად ძირითადად ცვლილებები საოლქო და რაიონული პროკურატურების ხელმძღვანელებს შეეხო. კონკრეტულად კი შეიცვალა რამდენიმე ოლქის და რაიონული პროკურორი და მოადგილეები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად ლევან პაქსაშვილი, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორად ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, ქვემო ქართლის საოლქო პროკურორად ლევან გეგეჭკორი, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორად შოთა ტყეშელაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად ილია ჯალაღანია დაინიშნა.

რაც შეეხება თბილისის პროკურატურას და სხვა რაიონულ პროკურატურებს, შიდა საკადრო გადაადგილებების შედეგად თბილისის პროკურორის მოადგილედ — საგამოძიებო ნაწილის უფროსად მერაბ ჯერანაშვილი, ექვსი პირი სხვადასხვა რაიონულ პროკურორად, ხოლო ორი რაიონული პროკურორის მოადგილედ დაინიშნა.

საკადრო ცვლილებები ასევე საქართველოს მთავარ პროკურატურასაც შეეხო. გადაადგილებები განხორციელდა რამდენიმე დეპარტამენტში, კერძოდ კი, შეიცვალნენ უფროსები და მოადგილეები.

ასევე, პროკურატურის უწყებაში შიდა საკადრო გადაადგილების ფარგლებში, საქართველოს მთავარი პროკურორის ინიციატივით შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა სხდომაზე ოთხი რიგითი პროკურორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურების საკითხზე იმსჯელეს და მთავარ პროკურორს დადებითი რეკომენდაციები წარუდგინეს, რის შემდეგაც მთავარი პროკურორის ბრძანებით აღნიშნული პირები დაწინაურდნენ და სხვადასხვა თანამდებობაზე დაინიშნნენ.

— საქართველოს პროკურატურაში შიდა საკადრო ცვლილებები პროკურატურის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებას ემსახურება, რის შედეგადაც თანამდებობებზე საერთო ჯამში ოცდაათი პირი დაინიშნა.

ყველა განხორციელებული ცვლილება პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდება, — აცხადებენ უწყებაში.

**ნიუსპრესი**

---

## „ნატომ თბილისს ტანკსაწინააღმდეგო იარაღი უნდა მიაწოდოს“



ამერიკელი ანალიტიკოსის ლუკ კოფის განცხადებით, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხისადმი სერიოზულად არის განწყობილი.

ამ თემაზე ლუკ კოფი რადიოსადგურ ამერიკის ხმას ესაუბრა.

— ნატომ ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში წევრი სახელმწიფოების თავდაცვაზე უნდა იზრუნოს 1949 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად. არ არის საჭირო, ნატომ ყველგან, ყველაფერი აკეთოს, თუმცა წევრები უნდა დაიცვას ჯარით და ტექნიკური საშუალებებით. მაგალითისთვის, ვგულისხმობ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს. თუმცა ნატომ ღია კარის პოლიტიკა უნდა შეინარჩუნოს გაწევრიანების მსურველი ისეთი ქვეყნებისთვისაც, როგორიცაა საქართველო, რათა საბოლოო ჯამში ის ალიანსში დაუშვან. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ხშირად გაიგონებთ შედარებებს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესახებ. ეს ორი ქვეყანა ამ მხრივ ძალიან განსხვავდება, საქართველო წლებია ინტეგრაციისთვის ემზადება, უკრაინა კი ამ პროცესს ძალიან დაშორებულია. ნატო სწორედ მოიქცა, როცა მონტენეგრო მიიწვია, ახლა ალიანსმა უნდა დაამტკიცოს, რომ სერიოზულად არის განწყობილი საქართველოს გაწევრიანების საკითხშიც. მაგალითისთვის, ამერიკამ და მოკავშირეებმა თბილისს ტანკსაწინააღმდეგო იარაღი უნდა მიაწოდონ. ერთი სიტყვით, ნატომ მკაფიო და ხმამაღალი სიგნალი უნდა გაუგზავნოს საქართველოს და აღნიშნოს, რომ ქვეყანა სწორ გზაზეა, დაგეხმარებით და ალიანსში ბოლოსდაბოლოს მიგიღებთ, კარი კვლავაც ღიაა, — აცხადებს ანალიტიკოსი.

**ნიუსპრესი**

---

## იან კელი: „მედიის თავისუფლება არჩევნების წელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“

ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იან კელი კომენტარს აკეთებს და ყურადღებას თავისუფალი მედიის მნიშვნელობაზე ამახვილებს.



როგორც ელჩი აცხადებს, ამერიკული მხარე „მაესტროსთან“ დაკავშირებულ მოვლენებს თვალყურს ადევნებს, რადგან მედიის სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— ეს განსაკუთრებით არჩევნების წელსაა მნიშვნელოვანი. ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია არჩევანის გასაკეთებლად და ამისთვის მედიაზე წვდომა უნდა ჰქონდეთ, — აცხადებს ელჩი.

**ნიუსპრესი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მიხეილ დუნდუა: „ქადაგიძის ნაქადაგარი მხოლოდ პოპულიზმზეა გათვლილი“

## „ეროვნული ბანკი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს არ ასრულებს“

გულიკო ბალაძე

მალე ირაკლი ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტს გამოემშვიდობება. როგორ აფასებენ მის მუშაობას ამ თანამდებობაზე და რა მოუტანა ქვეყანას მისმა გადაწყვეტილებებმა? – ამის თაობაზე „ახალ თაობას“ ესაუბრება 20/30-ის წევრი **მიხეილ დუნდუა.**

***– როგორ შეაფასებთ ირაკლი ქადაგიძის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად მუშაობას?***

– ქადაგიძემ პირველივე ანგარიშში 2009 წელს ცხადად ჩამოაყალიბა ფინანსური სტაბილურობის პრინციპები და ფაქტორები. რეფორმების დაპირებაც იყო და, ფინანსური სტაბილურობის გამოწვევებიდან გამომდინარე, სხვა ფაქტორებთან ერთად საზედამხედველო საკითხების მოწესრიგება.

***– კერძოდ?***

– რამდენადაა სესხი დამოკიდებული უზრუნველყოფაზე, ხომ არ აქცევს ბანკი ზედმეტ ყურადღებას უზრუნველყოფას მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე ნაკლები ყურადღების დათმობის ხარჯზე.

***– ეს საკითხები დღეს დარეგულირებული არ არის?***

– პირიქით, ეროვნული ბანკის უყურადღებობის გამო, ვითარება მკვეთრადაა გამწვავებული და მოსახლეობას საბანკო დავალიანება მძიმე ტვირთად აწვება.

***– ამას თქვენ ამბობთ, ქადაგიძე კი სხვას ამბობს.***

– ამის დასტურია სავალუტო ფონდის 2015 წლის რეკომენდაცია, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განიხილოს ლიმიტების შემოღება სესხის მომსახურებაზე შემოსავალთან მიმართებით კოეფიციენტისთვის საცალო სესხებზე, რადგან ამ ეტაპზე საქართველოში საცალო მსესხებელთა ერთი მესამედი ხარჯავს შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალებისთვის.





საცალო სესხის ამღები მოსახლეობის 60% შემოსავლის 40%-ზე მეტს საბანკო ვალის მომსახურებისთვის იხდის. 20% იხდის 60%-ზე მეტს, 12% იხდის შემოსავლის 70%-ზე მეტს, 8% იხდის 80%-ზე მეტს, 6% იხდის შემოსავლის 90%-ზე მეტს, 5% იხდის 100%-ზე მეტს.

მიხეილ დონდუას განცხადებით, ჯერ კიდევ 2009 წლის ეროვნული ბანკის სტანდარტით და დაპირებით, სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში, მსესხებლის ვალის მომსახურება შემოსავალთან, ლიმიტი 30%-ია, ხოლო მსესხებლის ღია სავალუტო პოზიციის შემთხვევაში – 20%.

***– დღევანდელი სტანდარტით რა ხდება?***

– ეროვნული ბანკის დღევანდელი სტანდარტით, სამომხმარებლო სესხის კატეგორიაში არ შედის საავტომობილო სესხები, ოვერდრაფტები, სწრაფი განვადებები, სამომხმარებლო საკრედიტო ბარათებით გაცემული სესხები.

რაც ყველაზე საგანგაშოა, კატასტროფულად იმატა შეთავაზებებმა საცალო სესხების დამტკიცების შესახებ ისეთი ბანკებისაგან, სადაც ბოლოს ნამყოფი შეიძლება ერთი წლის მანძილზე არ იყოს შეთავაზების მიმღები პირი. ფიქსირდება ღია აშკარა შეთავაზებები სატელეფონო მესიჯებითაც.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ბანკი არათუ არ განიხილავს ლიმიტების შემოღებას სესხის მომსახურებაზე შემოსავალთან მიმართებით, სტატისტიკასაც კი არ აწარმოებს, თუ როგორ არის დაკავშირებული სესხის ამღები მოქალაქის საკრედიტო ტვირთი მის შემოსავალთან.

***– ეს მძიმე შეცდომაა?***

– დიახ. ამ მძიმე შეცდომის გარდა, ეროვნული ბანკი სავალუტო ფონდის არც სხვა რეკომენდაციებს ასრულებს ჯეროვნად.

***– რა რეკომენდაციებს არ ასრულებს?***

– ეროვნული ბანკი უნდა აქვეყნებდეს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს, რომელსაც, სავალუტო ფონდის მოთხოვნის მიუხედავად, უკვე 3 წელია, არ ქმნის.

სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზისგან განსხვავებით, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში შეისწავლის მოვლენებს, რომელთა მოხდენის ალბათობის დადგენა რთულია, მაგრამ რისკის მატერიალიზაციის შემთხვევაში, უარყოფითი ზეგავლენა არსებითია.

2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ ეროვნული ბანკის ანგარიშში ქადაგიძე პირობას დებს, რომ 2015 წლის ბოლოს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს გამოაქვეყნებს. ეს პირობაც დაირღვა.

***– ქადაგიძემ განაცხადა, რომ 20/30-ის ყველა შენიშვნა საპნის ბუშტივით გასკდა.***

– დიდი ტყუილი და ქადაგიძე, ანუ რატომ არ აქვეყნებს ეროვნული ბანკი ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს. ქადაგიძემ ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის რეალური გეგმა აქვს, მთავრობა კი ქვეყნის გადარჩენის საშუალებას არ აძლევს.

***– ანუ ქადაგიძე ტყუის?***

– ქადაგიძის ნაქადაგარი მხოლოდ პოპულიზმზეა გათვლილი. 2010 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში ის განიხილავს მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარს. ყველა სცენარში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება 2013 წლიდან იწყება.

***– ანუ ქადაგიძემ წინასწარ იცოდა, რომ მოსალოდნელი იყო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და არაფერი იღონა?***

– დიახ. ყველაზე ოპტიმისტურ სცენარშიც კი, 2012 წლის შემდეგ ეკონომიკის ზრდის ტემპი 5%-მდე უნდა შემცირებულიყო, შემდეგ გახდებოდა 4%, ბოლოს კი 3.5%-ის დონე დასტაბილურდებოდა. არანაირი სწრაფი ეკონომიკური ზრდა არ იყო დაგეგმილი.

***– ალტერნატიული სცენარები არ ჰქონდათ?***

– მათი ალტერნატიული სცენარებით, ვარაუდობდნენ, რომ ვალის მომსახურების არსებული გრაფიკის მიხედვით, 2013 წელს ვალის მომსახურების პიკი გვექნებოდა.

***– ლარის კურსის არასტაბილურობასაც ვარაუდობდნენ?***

– ამ ანალიზში განხილულია გაცვლითი კურსის ერთჯერადი (საგრძნობი) და ყოველწლიური (მცირე ტემპებით) გაუფასურება. ერთჯერადი 30 პროცენტიანი გაუფასურება (2013 წელს). მათ სცენარში 2013 წელს მშპ-ს ზრდის ტემპი 3%-ით მცირდება (საბაზისო სცენართან შედარებით (5%)) და 5 წლის შემდეგ თანდათანობით უბრუნდება ნორმალურ დონეს. 2013 წელს კი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი მცირდება 2%-ით. შემდგომ თანდათანობით 5 წლის შემდეგ დაუბრუნდება ნორმალურ დონეს.

***– შედეგად ბიუჯეტის დეფიციტს არ ვარაუდობდნენ?***

– შედეგად, მათი ვარაუდით, ბიუჯეტის დეფიციტიც 2 პროცენტული პუნქტით გაიზრდებოდა. ასევე 5 წლის შემდეგ დაუბრუნდებოდა ნორმალურ დონეს. ლარის კურსი ამ ხუთი წლის მანძილზე უფასურდება.

***– გამოდის, ნაცმოძრაობის დროინდელი ეროვნული ბანკის მიერ დადებული სცენარები გამართლდა?***

– დიახ, იმ ეკონომიკური მოდელიდან გამომდინარე, რაც შექმნეს ნაციონალებმა, ეკონომიკური შოკები მოსალოდნელი იყო. 2013 წლიდან ქვეყანამ ნამდვილად მიიღო საგარეო ვალის შოკი. 2013 წლიდან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი საგარეო ვალის აქტიური დაფარვის ფაზაში გადავიდა. ეს ეროვნულმა ბანკმა 2014 წელს აღიარა, როცა 2013 წლის წლიური ანგარიში გამოაქვეყნა.

ქადაგიძის აღიარებით, გასული წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკისა და ქვეყნის მთავრობის დავალიანებების მსხვილი დაფარვებით, რაც ნეგატიურად მოქმედებდა საერთაშორისო რეზერვების მოცულობის სიდიდეზე. სამარცხვინოა, რომ მიუხედავად სწრაფი დევალვაციის და ეკონომიკის ზრდის შეფერხების ნათლად გამოკვეთილი რისკებისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლიდან შეწყვიტა ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის გამოქვეყნება, რითაც საინფორმაციო იზოლაციაში მოაქცია ბიზნესი და საზოგადოება.

# გიორგი კვირიკაშვილი: „თეთნულდი“ იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი“




საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამთო-სათხილამურო კურორტი „თეთნულდი“ გახსნა. პრემიერი კურორტზე მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

გიორგი კვირიკაშვილს დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია დარჩიაშვილმა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა სანდრო ონოფრიშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილი პროექტს გაეცნო და მაშველებს გაესაუბრა. პრემიერმა ასევე დაათვალიერა ადგილზე მობილიზებული თოვლის სატკეპნი ტექნიკა და კურორტის ადმინისტრაციული შენობა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, „თეთნულდზე“ ფუნქციონირებს ერთი სათხილამურო ტრასა, წლის ბოლომდე კი იგეგმება დამატებით 3 საბაგირო გზის ექსპლუატაციაში შესვლა.

– ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი არა მარტო საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში. გარდა ამისა, ვგეგმავთ, გაკეთდეს დამატებით საბაგირო, რომელიც სოფელ მულახიდან „თეთნულდის“ ბაზას დააკავშირებს. ასევე აუცილებლად გაკეთდება ქუთაისიდან ცაგერი-ლენტეხის გავლით სვანეთთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც ქუთაისის აეროპორტიდან 2 საათის სავალზე „თეთნულდის“ კურორტს დააკავშირებს, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საპარტნიორო ფონდის მეშვეობით, გაკეთდება რამდენიმე სასტუმრო, რათა კურორტის განვითარებას ბიძგი მიეცეს. პრემიერი დარწმუნებულია, რომ ეს იქნება ძალიან წარმატებული პროექტი. ამასთან, გიორგი კვირიკაშვილის ცნობით, გზის დიზაინი და სასტუმროების პროექტი დამუშავების პროცესშია.

პრემიერთან ერთად კურორტის გახსნაზე იმყოფებოდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი, დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

სამთო-სათხილამურო კურორტი „თეთნულდი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს მთის კურორტების განვითარების კომპანიის მენეჯმენტში გადავიდა.

ამ ეტაპზე კურორტზე არის 6-ადგილიანი სავარძლის ტიპის ერთი საბაგირო, რომლის მშენებლობაც საბაგიროების მწარმოებელმა ფრანგულმა კომპანია „პომამ“ უზრუნველყო. პროექტი 100 მილიონი ლარის ღირებულებისაა და მას საფრანგეთის მთავრობის მხადრაჭერით საქართველოს მთავრობა აფინანსებს.

„თეთნულდის“ სათხილამურო ტრასა ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი – 9,5 კილომეტრი და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონე – 1,7 კილომეტრი იქნება. 2016 წლისთვის დაგეგმილია სასრიალო გზის 30 კილომეტრამდე გაზრდა. სასრიალო გზა განკუთვნილი იქნება მოყვარულებისთვის, პროფესიონალებისა და ექსპერტებისთვის.

მთის კურორტების განვითარების კომპანიამ კურორტის პოპულარიზაციისთვის მესტია-თეთნულდი, თეთნულდი-მესტიის მიმართულებით ავტობუსი დანიშნა, რომელიც ტურისტებს უფასოდ მოემსახურება. ასევე მთელი სეზონის განმავლობაში საბაგიროს მომსახურებაც უფასო იქნება.

როგორც მთის კურორტების განვითარების კომპანიაში აცხადებენ, „თეთნულდი“ ერთდროულად 6.806 დამსვენებლის მიღებას შეძლებს. სათხილამურო კომპლექსი კი ერთდროულად 4.100 მოთხილამურეს მოემსახურება.

კურორტი ტურისტებს ოთხივე სეზონის განმავლობაში უმასპინძლებს. სათხილამურო პერიოდი კი 6-7 თვემდე გახანგრძლივდება. კურორტ „თეთნულდზე“ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. „თეთნულდის“ მშენებლობა 2014 წლის მაისში დაიწყო და 2016 წლის იანვარში დასრულდა. კურორტი ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, მესტიიდან კი 15 კილომეტრში მდებარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# ექსპორტი 22%-ით, ხოლო იმპორტი 25%-ით არის შემცირებული



ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია „აფბას“ ანალიტიკოსმა პაატა ბაირახტარმა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები შეაფასა. „აფბას“ ინფორმაციით, მონაცემების მიხედვით 2016 წლის იანვარში, ექსპორტი 22%-ით, ხოლო იმპორტი 25%-ით არის შემცირებული.

– იმპორტ-ექსპორტის შემცირების რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზი არსებობს. 2016 წლისთვის საქართველოს მთავარ, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან რადიკალური ცვლილებები არ გვაქვს.

2016 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან, თურქეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ის შოკები, რაც მთელმა რეგიონმა და ჩვენმა მთავარმა სავაჭრო პარტნიორმა ქვეყნებმა გამოიარეს, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ექსპორტის მოცულობაზე, – განაცხადა პაატა ბაირახტარმა.

მისივე თქმით, ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტის მაჩვენებელი წლიურ ჭრილში გაზრდილია.

– აღსანიშნავია, რომ ექსპორტის კლებადი ტენდენციის მიუხედავად, აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტი 2015 წელს 3,45%-ით (22.341მლნ) არის გაზრდილი 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც მეტწილად დაკავშირებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მოქმედებასთან.

ამ მიმართულებით შეინიშნება ქართველი მეწარმეების გააქტიურება, გაიტანონ ქართული პოდუქცია ევროკავშირის ბაზრებზე, რაც ექსპორტის საბოლოო მაჩვენებელზე დადებითად აისახება.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მთლიან ჭრილში, უდიდესი ხვედრითი წილი ავტომობილების რეექსპორტზე მოდის, რაც მნიშვნელოვნად შემცირდა, ვინაიდან ძირითად იმპორტიორ ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტის მიღებამ, პრაქტიკულად ამ ბაზრების ჩაკეტვა გამოიწვია.

ექსპორტის მაჩვენებლებში ზრდა ფიქსირდება იმ დარგებში, რასაც ქვეყანა თავად აწარმოებს, ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი, ის რითაც ეკონომიკა ძლიერდება, იზრდება, – განმარტავს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რეგიონში არსებული ქვეყნების ეროვნული ვალუტები, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა. მან მაგალითად მოიყვანა ის, რომ 50%-ით გაუფასურდა აზერბაიჯანული მანათი, თითქმის 66%-ით გაუფასურდა რუსული რუბლი და 20%-ზე მეტით თურქული ლირა.

– გამომდინარე იქიდან, რომ ეს ქვეყნები საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან, ამან უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოდან ექსპორტის მოცულობაზე.

რაც შეეხება იმპორტის შემცირებას, ქვეყნისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში იმპორტის შემცირება მნიშვნელოვანია, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს როგორც ექსპორტის ზრდის ხარჯზე, ისე ადგილობრივი მომხმარებლებისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის შეთავაზებით.

ხოლო იმისათვის, რომ იმპორტირებული სახელმწიფოსთვის მომგებიანი არ იყოს, უნდა მოხდეს ადგილობრივი საწარმოო პოტენციალის გაძლიერება და მეტი ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რომელიც 2016 წლის იანვრის თვეში 283 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 99,2 მილიონი აშშ დოლარით არის შემცირებული, რაც უმნიშვნელო, თუმცა დადებითი ფაქტორია ეროვნული ვალუტის სტაბილურობის კუთხით, – განაცხადა პაატა ბაირახტარმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვალერი გელბახიანი: „თუ ღარიბაშვილი პოლიტიკაში ჩაერთო, საარჩევნო სუბიექტების გამსხვილება დაიწყება“

## „მოსალოდნელია, რომ „ქართული ოცნება“ მრეწველებმა და ეროვნულმა ფორუმმა დატოვონ“

მარიამ მჭედლიშვილი

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვითარება იძაბება. რამდენიმესუბიექტიან მმართველ კოალიციაში საქმე ემოციურ გარჩევებამდე მიდის. ბოლოდროინდელი დაპირისპირებების ერთი მხარე რესპუბლიკური პარტიაა. პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ „ქართული ოცნების" კოალიციას რესპუბლიკელებიც დატოვებენ. პარლამენტის ყოფილი წევრი, იურისტი ვალერი გელბახიანი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკური პარტიის გასვლა „ქართული ოცნებიდან" ნაკლებად სავარაუდოა.**

*– ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ არ დაიშლება?*

– მოსალოდნელია, რომ „ქართული ოცნება“ დატოვონ მრეწველებმა და ეროვნულმა ფორუმმა. ბევრი საუბარია რესპუბლიკელებზე. მგონია, რომ ისინი კოალიციაში დარჩებიან. რესპუბლიკური პარტია, ფაქტობრივად, მარტო სუბიექტი არაა. ის კოალიციაში ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას. რესპუბლიკელების წევრობა განპირობებულია პოლიტიკური ფაქტორით. რესპუბლიკელებს აქვთ კავშირები აშშ-სთან, ევროსტრუქტურებთან. აქედან გამომდინარე, ისინი გარკვეულ როლს ასრულებენ საგარეო ურთიერთობებში.

***– რესპუბლიკელებთან დაპირისპირებული და თანამდებობიდან გადამდგარი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ ხელისუფლების წევრი რესპუბლიკელები სწორედ საგარეო ფაქტორით აშანტაჟებენ ხელისუფლებას. ისინი, ბრეგაძის თქმით, ამბობენ, რომ თუ კოალიციაში არ იქნებიან, საქართველო დასავლეთის მხარდაჭერას დაკარგავს.***

– ამაზე ვერაფერს ვიტყვი. თუ რესპუბლიკელების მხრიდან შანტაჟი და ულტიმატუმებია, მაშინ ეს სანდრო ბრეგაძის გარდა კიდევ ვინმემ უნდა დაადასტუროს. მე რაც ვთქვი, ეს ლოგიკური ანალიზის შედეგია. პარტიას აქვს კავშირები დასავლეთში. მას დასავლეთში ენდობიან. ამიტომ რესპუბლიკურ პარტიას საგარეო ურთიერთობების კუთხით რაღაც მისია აკისრია. ასეთ დროს ულტიმატუმები ზედმეტიცაა. სხვა პარტიები, მაგალითად, მრეწველები, არ მალავენ და არც ადრე მალავდნენ სიმპათიებს ჩრდილოელი მეზობლის მიმართ. თუ რესპუბლიკური პარტია დატოვებს „ქართულ ოცნებას“, ეს აღიქმება ხელისუფლების მიერ საგარეო ვექტორის ცვლილებად.

***– ანუ, თქვენი პროგნოზით, კოალიცია შეიძლება მარტო მრეწველებმა და ფორუმელებმა დატოვონ? სხვები დარჩებიან?***

– რესპუბლიკელებზე მოგახსენეთ. კონსერვატორების გამოსვლა გამორიცხულია. ისინი ბაწარზე გადაბმულებივით არიან პარტია „ქართულ ოცნებასთან“. 2012 წლის შემდეგ კონსერვატორებისგან ერთი განსხვავებული მოსაზრება არ მოგვისმენია, ტაშისკვრა კი ბევრჯერ გვინახავს. კონსერვატორებმა ისეთი კონფორმიზმი გამოამჟღავნეს, რომ მათი დამოუკიდებელი საქმიანობა გამორიცხულია.

***– იმას თუ უშვებთ, რომ ოპოზიციამ გაერთიანებული ძალებით მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში? პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი აცხადებს, რომ ეს საჭიროა საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის. იგი აცხადებს, რომ ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს სხვა, სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები.***

– მომხიბლავი, მაგრამ არარეალიზებადი იდეაა. ამაზე კულუარებში მსმენია, თუმცა, არ გამიგია, რომ ამაზე ოპოზიციაში თანხმობა იყოს. ჩვენ გვაქვს „ქართული ოცნების“ მაგალითი. მასაც შეეძლო პარლამენტში მოხვედრიდან რამდენიმე თვეში ახალი არჩევნების ჩატარება.

***– მხედველობაში გაქვთ ის, რომ ნაციონალური მოძრაობის კოალიციურად დამარცხების შემდეგ უნდა ჩატარებულიყო ახალი საპარლამენტო არჩევნები?***

– დიახ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ გაუტკბა ხელისუფლებაში ყოფნა. ერთიანი ფრონტით პარლამენტში შესვლა კარგი ინიციატივაა, მაგრამ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები. შეიძლება ოპოზიცია ერთად შევიდეს პარლამენტში, შექმნას უმრავლესობა, მაგრამ საკითხავია, მოუნდებათ თუ არა ამ ადამიანებს ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და ამ არჩევნებზე დამოუკიდებლად გამოსვლა.

***– წინა ინტერვიუში ივარაუდეთ, რომ არჩევნებისთვის ახალი კოალიციები შეიქმნება. დღესაც იმავეს თქმა შეიძლება?***

– დღეს „ქართული ოცნების“ სუბიექტებიანად იკვეთება 7 აქტიური ძალა. მათ აქვთ 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი. ზოგ პარტიას ბრძოლის რესურსიც აქვს.



### „რესპუბლიკელები კოალიციაში მარტო სუბიექტის როლს არ ასრულებენ“

***– კონკურენტებთან ბრძოლის რესურსი?***

– თუ კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავარი ძალა რესპუბლიკური პარტია იქნება, მაშინ „ოცნებასთან“ ბრძოლა უფრო ადვილია. არის საკითხები, რომლებიც ამ ბრძოლისათვის გამოდგება.

***– მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინებები?***

– თუნდაც, ეს. სანდრო ბრეგაძე ამბობს, რომ ამ თემას შეეწირა. ეს რელიგიური საკითხია. ამაზე თავისი პოზიცია გამოთქვა ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. სწორედ მისი ინიციატივით შემუშავდა კონსტიტუციაში შესატანი კანონპროექტი. ამ პროექტით, ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერთობაა. ადრე რატომღაც სანდრო ბრეგაძისგან ამ თემაზე დიდი აქტიურობა არ გვინახავს. ვფიქრობ, ეს საკითხი გარკვეული მიზნებისთვისაა წამოწეული. ისე, მეც შემიძლია ვამტკიცო, რომ სააკაშვილის დროს, რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ თემის გამო ვიდევნებოდი.

***– რომელი მიზნებისათვის ხდება ამ თემის აქტუალიზაცია?***

– არაა გამორიცხული, რომ პოლიტიკაში აქტიურად დაბრუნებას აპირებდეს ირაკლი ღარიბაშვილი. ამიტომ მზადდება მისი მომხრეების ჯგუფი. მასში მოიაზრება სანდრო ბრეგაძეც. საზოგადოებას ამზადებენ იმის გასააზრებლად, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ერთსქესიანთა ქორწინებებს შეეწირა. ამავდროულად ხდება აპელირება იმაზე, რომ ერთსქესიანთა ქორწინებების მომხრეები არიან რესპუბლიკელები და ნაციონალები.

***– ირაკლი ღარიბაშვილი თუ შემოვა პოლიტიკაში, ეს არსებულ კონფიგურაციას შეცვლის?***

– რა თქმა უნდა! თუ ირაკლი ღარიბაშვილი თავის გუნდთან ერთად ჩაებმება წინასაარჩევნო კამპანიაში, ბუნებრივად დაიწყება სუბიექტების გამსხვილების პროცესი.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, შეიძლება პატრიოტთა ალიანსი დადგეს ირაკლი ღარიბაშვილის გვერდით. ამ სიტუაციაში ნინო ბურჯანაძესაც მოუწევს ზრუნვა გამსხვილებაზე. ის იძულებით ნაბიჯსაც გადადგამს. ასეთ შემთხვევაში ბურჯანაძეს მოუწევს დალაპარაკება ბურჭულაძესთან. ეს იქნება იძულებითი გადაწყვეტილება. გამსხვილების შემდეგ, 7 სუბიექტის ნაცვლად, დარჩება 3.

საარჩევნო მარათონის დაწყება რესპუბლიკელების თემას უფრო აქტუალურს გახდის. რესპუბლიკელები დამოკლეს მახვილივით იქნებიან კოალიციის თავზე.

# სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვებს ქვეყნიდან ვერ გაიყვანენ



პარლამენტი იმ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვას იწყებს, რომელიც სუროგაციის გზით საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანაზე კანონის გამკაცრებას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ პროექტს დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი განიხილავს.

კანონპროექტის მიხედვით, სუროგაციის გზით საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის ქვეყნიდან გაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ დაბადების მოწმობაში ორივე მშობლის ვინაობა იქნება მითითებული.

ცვლილება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში უნდა შევიდეს.

როგორც იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასაყვანად საკმარისი არ იქნება მხოლოდ უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

– კანონპროექტის მომზადება იმ პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა, რომელიც არსებობს სუროგაციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის საქართველოდან გაყვანის საკითხებთან დაკავშირებით.

ხშირია შემთხვევა, როდესაც სუროგაციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის საქართველოდან გაყვანა არსებული რეგულაციების გვერდის ავლით ხორციელდება, რაც ტრეფიკინგისა და ადამიანით ვაჭრობის რეალურ საფრთხეს ქმნის.

ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია კანონში გაიწეროს დებულებები, რომლებიც ხელს შეუშლის სუროგაციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის საქართველოდან შემოვლითი გზებით გაყვანის მცდელობას, ამავდროულად, ზიანს არ მიაყენებს მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესებს“, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ნაწილში.

**ინტერპრესნიუსი**

# ფონიჭალაში დედა-შვილი მოკლეს




ფონიჭალაში დედა-შვილი მოკლეს. არსებული ინფორმაციით, ოჯახს ძარცვის მიზნით თავს დაესხნენ, დედას ჭრილობები ყელის არეში მიაყენეს, ხოლო მცირეწლოვანი შვილი დაწვეს.

„ინტერპრესნიუსი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც 2 ადამიანის მკვლელობის ფაქტი დაადასტურეს.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, ამ ეტაპზე შსს მოტივზე არ საუბრობს.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# მიმდინარე კვირას საქართველოში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი



საქართველოში მიმდინარე კვირაში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა, სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა.

ნიორაძის განმარტებით, ტემპერატურა მოიმატებს, თუმცა ამ ფონზე, ზოგიერთ რაიონში, ასევე თბილისშიც მოსალოდნელია ნალექი. მიმდინარე კვირაში ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ +14 +19 გრადუსი იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

# მაღაროელები ტყიბულში ფართომასშტაბიან აქციას გეგმავენ



ტყიბულში მინდელისა და ძიძიგურის სახელობის მაღაროებში გაფიცვა გრძელდება. მაღაროელები ხელფასების მომატების მოთხოვნით ერთი კვირაა გაფიცულები არიან. ისინი ძიძიგურის სახელობის მაღაროსთან 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ.

საწარმო პროცესი შეჩერებულია ორივე მაღაროში. 1000-მდე გაფიცული მაღაროელი ტყიბულში ხელფასების გაზრდის მოთხოვნით აქციებს 14 თებერვლიდან მართავს. ხვალ მაღაროელები ტყიბულში ფართოსმაშტაბიან აქციას აანონსებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯონ ქერი მაჰმუდ აბასს შეხვდა

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასს შეხვდა. განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა, სადაც არ წყდება შეტაკებები სირიელებსა და პალესტინელებს შორის.

მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ძალადობას ბოლო უნდა მოეღოს.

ამავე დროს, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ შეთანხმების შესრულება ძალიან ძნელი იქნება, რადგან აბასს ავტორიტეტი არ გააჩნია. ისრაელი მას ტერორისტების მფარველობაში ადანაშაულებს, პალესტინელები კი – კორუფციასა და გაუბედაობაში. პალესტინელთა უმრავლესობა დაიღალა იმ კორუფციითა და უმუშევრობით, რაც ავტონომიაში სუფევს.

პალესტინელებს დამოუკიდებლობა სურთ და აბასი აღარ აკმაყოფილებთ.





# ტრამპი რესპუბლიკელების ლიდერია

სამხრეთ კაროლინის შტატში გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპი გამოიკვეთა როგორც აშკარა ლიდერი რესპუბლიკელებს შორის. უკვე ბევრი ავტორიტეტული ექსპერტი ამტკიცებს, რომ რესპუბლიკური პარტიიდან სწორედ ტრამპი იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი. ამას თავად მულტიმილიონერიც ეთანხმება. თავის უკანასკნელ ტელეინტერვიუში მან განაცხადა:

– რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი მე ვიქნები! დემოკრატებიდან კი – მისის ჰილარი კლინტონი!

ტრამპის უახლოესი კონკურენტები რესპუბლიკურ პარტიაში ტედ კრუზი და მარკო რუბიო ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. ისინი აცხადებენ, რომ ტრამპის დამარცხებას შეძლებენ.

– ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, – ამბობს მარკო რუბიო.

# ლეხ ვალენსას პოლონეთის უშიშროების აგენტობაში სდებენ ბრალს

ვარშავის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტმა ინტერნეტით გაავრცელა აგენტ ბოლეკის დოსიე.

ინსტიტუტის აზრით, ამ ფსევდონიმის უკან პოლონეთის ექსპრეზიდენტი ლეხ ვალენსა იმალებოდა. ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ ის 1972 წლიდან პოლონეთის უშიშროების აგენტი იყო.

– ხსენებული დოსიე პოლონეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ბინაში აღმოჩნდა. მინისტრის ცოლმა ის ჩვენ მოგვყიდა, – აცხადებენ ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის თანამშრომლები.

პირადად ვალენსა ამჟამად აშშ-ში იმყოფება. ჟურნალისტებთან საუბარში მან გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუე უწოდა.

– როგორ შეიძლება ასეთი დოსიე მინისტრის ბინაში ინახებოდეს?! ესაა ნაყალბევი, რათა ჩემი დისკრედიტაცია მოახდინონ, – ამბობს ვალენსა.






# ლუკაშენკო: „ასადი კანონიერი პრეზიდენტია“

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ უკრაინას მხარი დაუჭირა. ამან კრემლის რისხვა გამოიწვია. ალექსანდრ გრიგორიევიჩმაც გადაწყვიტა ეს რამდენადმე გაენეიტრალებინა. 21 თებერვალს მან განაცხადა, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი დიქტატორი კი არა, ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფალია.

– ასადი თავის სამშობლოს ტერორისტებისაგან იცავს! ჩვენ მას მხარს ვუჭერთ, – თქვა ლუკაშენკომ.

ალექსანდრ გრიგორიევიჩმა საჯაროდ დააფიქსირა სირიაში რუსეთის პოლიტიკის მხარდაჭერა.

– რუსეთი ასადს ტერორისტებთან ბრძოლაში ეხმარება! ეს როგორც თავად რუსეთის, ისე მთელი ცივილიზებული სამყაროს ინტერესებშია, – ამბობს ბელარუსის პრეზიდენტი.

# უგანდაში ოპოზიციონერები დაიჭირეს

უგანდის პრეზიდენტი მუსევენი ამ პოსტზე მეხუთედ აირჩიეს. როგორც კი საარჩევნო კამპანია დასრულდა, მან ყველა ოპონენტი დაიჭირა.

– საპრეზიდენტო არჩევნებისას ისინი უხეშ და უცენზურო გამოთქმებს ხმარობდნენ, ეს კი დასჯადი ქმედებაა, – თქვა მუსევენიმ.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა დაამატა, რომ მისი ოპონენტები გარკვეული უცხო ძალების წაქეზებით ქვეყანაში დესტაბილიზაციის აგორებას აპირებდნენ. ასეთი რამ კი დაუშვებელია.

– უგანდაში მშვიდობა იქნება, – აცხადებს პრეზიდენტი.

71 წლის მუსევენი ქვეყანას 1986 წლიდან ხელმძღვანელობს. უკანასკნელი არჩევნების დროს მან ხმების 60,5% მიიღო.

ევროპელმა დამკვირვებლებმა არჩევნების მსვლელობა უარყოფითად შეაფასეს.

– არჩევნები ძალადობისა და დაშინების ატმოსფეროში ჩატარდა, – ასეთია მათი დასკვნა.





# ჩეხეთი აღმოსავლეთ ევროპის დაცვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს

ჩეხეთის თავდაცვის მინისტრმა მარტინ სტროპნიცკიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსული აგრესიის საფრთხისადმი გულგრილი ვერ იქნება. ჩეხეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს როგორც ჩეხეთის, ისე ბალტიისპირეთის ქვეყნების დაცვაში.

– ეს ნატოს გეგმის საფუძველზე მოხდება, რომლის შესახებაც 10 თებერვალს გაცხადდა, – თქვა სტოპნიცკიმ.

ჩეხეთმა აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების დასაცავად უკვე 100-მდე ჯარისკაცი გამოყო. უახლოეს მომავალში ეს ციფრი გაიზრდება.

# ლონდონის მერი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მომხრეა

ლონდონის მერი ბორის ჯონსონი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის მომხრეა.

ჯონსონი თვლის, რომ ევროკავშირში დარჩენა ბრიტანეთს არაფერს აძლევს. ამას კატეგორიულად არ ეთანხმება ბრიტანეთის პრემიერი ქემერონი.

– ჯონსონს მოვუწოდებ, პოზიცია შეიცვალოს, – თქვა ქემერონმა

მოამზადა ნიკა თევზაძემ



**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ძიუდოისტთა 2 ბრინჯაო დიუსელდორფიდან





საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრებმა, ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ) და ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში დასრულებულ გრან პრიზე ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლეს.

მარგველაშვილმა მე-3 ადგილისათვის შეხვედრაში იაპონიის ნაკრების წევრი ტაკაიჩი კენგო დაამარცხა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა კი ბრინჯაოს მედალი სლოვენიელი როკ დრაკშიჩის ძლევით აიღო.

შავდათუაშვილი ოქროს მედლისათვის ბრძოლას ნახევარფინალში აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვთან მარცხის შემდეგ გამოეთიშა, მარგველაშვილმა კი მეოთხედფინალური დაპირისპირება ტურნირის მომავალ ჩემპიონ კორეელ ან ბაულთან დათმო.

ბრინჯაოს მედლებთან ერთად, მარგველაშვილმა და შავდათუაშვილმა რეიტინგში მე-3 ადგილისათვის განკუთვნილი 120-120 ქულაც მიიღეს.

საქართველოს ნაკრების სხვა წევრები ამჯერად საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ, მე-3 ადგილისათვის შეხვედრები დათმეს და საბოლოოდ მე-5 ადგილები მოიპოვეს ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და გიორგი პაპუნაშვილმა (81 კგ).

შეგახსენებთ, რომ დიუსელდორფში არ უჭიდავიათ ეროვნული გუნდის ლიდერებს – ავთანდილ ჭრიკიშვილს (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანს (90 კგ).

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ტურის შემდეგი გრან პრი 25-27 მარტს თბილისში გაიმართება.

# ფაჩულიას ქულა დააკლდა, შენგელიას — 12 კვირა

## საკალათბურთო დესანტის ამბები



ზაზა ფაჩულიას დალასმა ფილადელფია 129:103 გაანადგურა, ქართველ ცენტრს კი ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა.

ფაჩულია სავარაუდოდ შეასრულებდა კიდეც ორმაგ დუბლს, თუმცა მწვრთნელმა ის მხოლოდ 19 წუთით ათამაშა. ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ თამაში დაძაბული არ გამოდგა და მწვრთნელმაც ზაზა აღარ დატვირთა.

ფაჩულიამ 5-დან 2 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, 9 ქულა მიითვალა და ამას 10 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა. დალასელთაგან 21 ქულით ბომბარდირი ვესლი მეთიუზი გახლდათ, დირკ ნოვიცნიმ კი შეხვედრა 18 ქულით დაასრულა.

დალასმა ბოლო 7 მატჩიდან მხოლოდ მეორე შეხვედრა მოიგო, თუმცა დასავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილს კვლავ ინარჩუნებს. ფაჩულიას გუნდს 30 მოგება და 27 მარცხი აქვს, მომდევნო შეხვედრას კი 25 თებერვალს შინ ოკლაჰომასთან გამართავს.

ესპანეთის ჩემპიონატში კარგა ხნის უქმობა მოუწევს თორნიკე შენგელიას, რომელმაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

ქალაქ ვიტორიის კლინიკაში მსოფლიოში ცნობილ ქირურგ მიკელ სანჩესის მიერ ჩატარებულმა ოპერაციამ 40 წუთს გასტანა და წარმატებულად ჩაიარა. ჯერჯერობით უცნობია ზუსტი დრო, თუ როდის დაუბრუნდება შენგელია მოედანს. როგორც ლაბორალ კუჩას ვებ-გვერდი იტყობინება, რეაბილიტაცია სავარაუდოდ 12-14 კვირას გასტანს.

მანუჩარ მარკოიშვილმა და მისმა დარუშაფაკამ თურქეთის თასის ფინალური მატჩის ბოლოსწინა წამზე დაკარგეს ტიტულის მოპოვების შანსი. სტამბოლურ ფინალში, ქართველი ფორვარდი მოვლენების ეპიცენტრში იყო და შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგიც აჩვენა. დასანანი კი ისაა, რომ მარკოიშვილს თურქეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიტული ხელიდან ბოლო მომენტში გამოეცალა. ფენერბახჩემ დარუშაფაკას ბოიან ბოგდანოვიჩის სამქულიანით მოუგო, რომელიც სერბმა მსროლელმა მატჩის დასრულებამდე 1 წამით ადრე ჩააგდო – 67:65.

მარკოიშვილმა არასრული 25 წუთი ითამაშა და 16 ქულით თავისი გუნდის ბომბარდირი გახდა. აღსანიშნავია, რომ მანუჩარმა ბანვითთან ნახევარფინალურ მატჩშიც 16 ქულა მოაგროვა. საქართველოს ნაკრების წევრმა 4-დან 2 ორქულიანი და 7-დან 4 სამიანი ჩააგდო, რასაც 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაყოლა.

# სალომე ფაჟავამ მოსკოვურ გრან პრიზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა



მოსკოვში გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გრან-პრის ეტაპზე სალომე ფაჟავამ (მწვრთნელები ელისო ბედოშვილი და ლალი დოლიძე) მე-3 ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ, ფაჟავას რიოს ოლიმპიადის საგზური მოპოვებული აქვს.

სალომე ფაჟავამ მოსკოვის გრან პრიზე რგოლით ვარჯიშში იყოჩაღა. ჩვენებურმა ფინალში 18.016 ქულა დაიმსახურა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველ-მეორე ადგილებზე ალექსანდრა სოლდატოვა (რუსეთი, 18.500) და ია იონ სონი (კორეა, 18.283) გავიდნენ.

ფაჟავამ რუსეთის დედაქალაქში მაყურებლები გურზებით ვარჯიშში უფრო მოხიბლა, სადაც უკვე ჩვეული „რაჭული" შეასრულა. არბიტრებმა მისი გამოსვლა 18.150 ქულით შეაფასეს, მაგრამ ეს მხოლოდ მე-5 ადგილისთვის გამოდგა საკმარისი. აქ კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. მარგარიტა მამუნი (რუსეთი, 18.950), 2. არინა ავერინა (რუსეთი, 18.350), 3. მელიტინა სტანიუტა (ბელორუსი, 18.316).

ჩვენებური ფინალში გავიდა ბურთითა და ლენტით ვარჯიშშიც და საკმაოდ მაღალი ქულებიც დაიმსახურა: ბურთით (17.933) მეხუთე, ლენტით (16.633) კი მერვე იყო.

მრავალჭიდში სალომე ფაჟავამ 71.748 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს პრიზიორს მხოლოდ 0.936 ქულით ჩამორჩა.

74.066 ქულით გრან პრი ალექსანდრა სოლდატოვამ მოიგო. მეორე-მესამე ადგილები ია იონ სონმა (72.964) და არინა ავერინამ (72.682) გაინაწილეს.

# სკანდალი ქართულ ჩოგბურთში — სანდრო მეტრეველი ალექსანდრეს წინააღმდეგ



ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე (სანდრო) მეტრეველი უარს აცხადებს თავისი ქვეყნის სახელით თამაშზე, ხოლო მიზეზად ფედერაციის არასწორ მუშაობას ასახელებს.

ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ჩოგბურთელის მოსახელე და მოგვარე ალექსანდრე მეტრეველი სანდროს ბიძაა.

– ჩოგბურთის ფედერაციის ამ შემადგენლობასთან ურთიერთობის სურვილი არ გამაჩნია, – წერს საკუთარ ფეისბუქის გვერდზე მეტრეველი, რომელიც გულდაწყვეტილი იმ დამოკიდებულებითაა, რომელსაც მისდამი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია იჩენს და ამ გადაწყვეტილების გამო ბოდიშს უხდის გულშემატკივარს.

მეტრეველმა ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, თუმცა, შევეცდებით ლაკონურად გადმოვცეთ მისი შინაარსი.

4-6 მარტს თბილისში საქართველოს ნაკრები დევისის თასის მატჩში დანიის ეროვნულ გუნდს ეთამაშება.

საქართველოს საჩოგბურთო ნაკრები 8 წლის განმავლობაში იმყოფებოდა დევისის თასის გათამაშების ყველაზე დაბალი კატეგორიის ქვეჯგუფში. მხოლოდ 2015 წლის ივლისში, ჩვენი ნაკრების (ნ.ბასილაშვილი, ა.მეტრეველი, გ.ცივაძე, გ.ჯავახიშვილი) წარმატებული ასპარეზობის შედეგად შევძელით ოთხი ქვეყნის გუნდის დამარცხება, რის შედეგადაც მოვიპოვეთ ზემდგომი კატეგორიის ჯგუფში მონაწილეობის უფლება.

დანიის ნაკრებთან სათამაშოდ მწვრთნელთან ერთად შემუშავებული იქნა მომზადების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 2016 წლის იანვარ-თებერვალში ტაილანდის, ფილიპინების, იტალიისა და პოლონეთის საჩოგბურთო ტურნირებში მეტრეველის მონაწილეობას.

როგორც ჩოგბურთელი აცხადებს, მას მხოლოდ ტაილანდის ტურნირისთვის სამყოფი თანხა შეხვდა, რის გამოც იძულებული გახდა იანვრის შუა რიცხვებში დაბრუნებულიყო თბილისში და შეეწყვიტა მომზადების პროგრამა.

მეტრეველის თქმით, მისი სადღეისო მომზადების ხარისხი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა სარგებელს ვერ მოუტანს საქართველოს ჩოგბურთის ნაკრებს და უარს ამბობს დანიელებთან მატჩში მონაწილეობაზე.

საქართველოს ჩოგბურთის ნაკრების დანარჩენ წევრებს ის გამარჯვებას უსურვებს დანიის ნაკრების წინააღმდეგ.

# შედეგები

21 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

ბლექბერნი-ვესტ ჰემი ........ 1:5
ტოტენჰემი-კრ.პალასი ........ 0:1
ჩელსი-სიტი ........ 5:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-სევილია ........ 2:2
მალაგა-რეალი ........ 1:1
ბილბაო-სოსიედადი ........ 0:1
გრანადა-ვალენსია ........ 1:2
ატლეტიკო-ვილიარეალი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 3 | 2 | 67-20 | 63 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 17 | 4 | 4 | 35-11 | 55 |
| 3.რეალი | 25 | 16 | 6 | 3 | 71-24 | 54 |
| 4.ვილიარეალი | 25 | 14 | 7 | 4 | 30-18 | 49 |
| 5.სევილია | 25 | 11 | 8 | 6 | 36-26 | 41 |
| 6.სელტა | 25 | 11 | 5 | 9 | 38-44 | 38 |
| 7.ეიბარი | 25 | 10 | 6 | 9 | 40-34 | 36 |
| 8.ბილბაო | 25 | 10 | 5 | 10 | 35-35 | 35 |
| 9.სოსიედადი | 25 | 9 | 6 | 10 | 35-34 | 33 |
| 10.დეპორტივო | 25 | 6 | 14 | 5 | 33-31 | 32 |
| 11.ვალენსია | 25 | 7 | 10 | 8 | 30-26 | 31 |
| 12.მალაგა | 25 | 8 | 7 | 10 | 22-22 | 31 |
| 13.ბეტისი | 25 | 6 | 9 | 10 | 19-34 | 27 |
| 14.ხეტაფე | 25 | 7 | 5 | 13 | 26-39 | 26 |
| 15.რაიო | 25 | 6 | 7 | 12 | 34-51 | 25 |
| 16.ესპანიოლი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-48 | 25 |
| 17.ხიხონი | 25 | 6 | 6 | 13 | 28-42 | 24 |
| 18.ლას პალმასი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-40 | 21 |
| 19.ლევანტე | 25 | 5 | 5 | 15 | 24-45 | 20 |
| 20.გრანადა | 25 | 5 | 5 | 15 | 26-51 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-ალმერია ........ 1:1
ვალიადოლიდი-ნუმანსია ........ 2:2
ხირონა-ოვიედო ........ 1:1
ტენერიფე-ლიაგოსტერა ........ 3:1
ელჩე-უესკა ........ 1:1
ოსასუნა-სარაგოსა ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-დორტმუნდი ........ 0:1
შალკე-შტუტგარტი ........ 1:1
ჰანოვერი-აუგსბურგი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 19 | 2 | 1 | 56-11 | 59 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 16 | 3 | 3 | 54-24 | 51 |
| 3.ჰერტა | 22 | 10 | 6 | 6 | 30-24 | 36 |
| 4.ლევერკუზენი | 22 | 10 | 5 | 7 | 31-23 | 35 |
| 5.გლადბახი | 22 | 11 | 2 | 9 | 43-38 | 35 |
| 6.შალკე | 22 | 10 | 4 | 8 | 31-29 | 34 |
| 7.მაინცი | 22 | 10 | 3 | 9 | 29-28 | 33 |
| 8.ვოლფსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 32-29 | 31 |
| 9.კიოლნი | 22 | 7 | 8 | 7 | 24-28 | 29 |
| 10.ინგოლშტადტი | 22 | 8 | 5 | 9 | 16-23 | 29 |
| 11.შტუტგარტი | 22 | 8 | 4 | 10 | 34-42 | 28 |
| 12.ჰამბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-30 | 27 |
| 13.აუგსბურგი | 22 | 6 | 6 | 10 | 24-31 | 24 |
| 14.დარმშტადტი | 22 | 6 | 6 | 10 | 23-34 | 24 |
| 15.აინტრახტი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-37 | 22 |
| 16.ვერდერი | 22 | 5 | 5 | 12 | 25-44 | 20 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 22-33 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 22 | 4 | 2 | 16 | 19-37 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-პადერბორნი ........ 1:1
ზანდჰაუზენი-ფრაიბურგი ........ 0:2
მიუნხენ 1860-ბოხუმი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-კარპი ........ 0:0
სასუოლო-ემპოლი ........ 3:2
ატალანტა-ფიორენტინა ........ 2:3
ჯენოა-უდინეზე ........ 2:1
ფროზინონე-ლაციო ........ 0:0
რომა-პალერმო ........ 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 46-15 | 58 |
| 2.ნაპოლი | 25 | 17 | 5 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.ფიორენტინა | 26 | 16 | 4 | 6 | 47-26 | 52 |
| 4.რომა | 26 | 14 | 8 | 4 | 52-27 | 50 |
| 5.ინტერი | 26 | 14 | 6 | 6 | 34-23 | 48 |
| 6.მილანი | 25 | 12 | 7 | 6 | 37-27 | 43 |
| 7.სასუოლო | 26 | 9 | 11 | 6 | 32-31 | 38 |
| 8.ლაციო | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ბოლონია | 26 | 10 | 4 | 12 | 29-31 | 34 |
| 10.ემპოლი | 26 | 9 | 7 | 10 | 32-37 | 34 |
| 11.ტორინო | 26 | 8 | 8 | 10 | 33-33 | 32 |
| 12.კიევო | 26 | 8 | 7 | 11 | 31-36 | 31 |
| 13.ატალანტა | 26 | 7 | 8 | 11 | 25-30 | 29 |
| 14.ჯენოა | 26 | 7 | 7 | 12 | 27-31 | 28 |
| 15.უდინეზე | 26 | 7 | 6 | 13 | 22-40 | 27 |
| 16.პალერმო | 26 | 7 | 5 | 14 | 27-47 | 26 |
| 17.სამპდორია | 26 | 6 | 7 | 13 | 37-46 | 25 |
| 18.ფროზინონე | 26 | 6 | 5 | 15 | 26-51 | 23 |
| 19.კარპი | 26 | 4 | 8 | 14 | 23-43 | 20 |
| 20.ვერონა | 26 | 2 | 12 | 12 | 24-43 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

სალერნიტანა-კროტონე ........ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-სტ.ეტიენი ........ 1:1
კაენი-რენი ........ 1:0
ლილი-ლიონი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 4 | 0 | 67-13 | 73 |
| 2.მონაკო | 27 | 13 | 10 | 4 | 40-30 | 49 |
| 3.ნიცა | 27 | 11 | 8 | 8 | 39-30 | 41 |
| 4.სტ.ეტიენი | 27 | 12 | 5 | 10 | 32-30 | 41 |
| 5.ლიონი | 27 | 11 | 6 | 10 | 38-29 | 39 |
| 6.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 7.კაენი | 27 | 12 | 3 | 12 | 28-35 | 39 |
| 8.რენი | 27 | 9 | 11 | 7 | 34-32 | 38 |
| 9.ანჟე | 27 | 10 | 7 | 10 | 27-27 | 37 |
| 10.ბორდო | 27 | 9 | 10 | 8 | 36-39 | 37 |
| 11.მარსელი | 27 | 8 | 12 | 7 | 37-28 | 36 |
| 12.ლილი | 27 | 7 | 13 | 7 | 21-20 | 34 |
| 13.ლორიანი | 27 | 8 | 10 | 9 | 39-41 | 34 |
| 14.ბასტია | 26 | 10 | 4 | 12 | 25-29 | 34 |
| 15.მონპელიე | 27 | 9 | 5 | 13 | 33-33 | 32 |
| 16.გენგამი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-38 | 31 |
| 17.რეიმსი | 27 | 7 | 8 | 12 | 28-38 | 29 |
| 18.გაზელეკი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-38 | 28 |
| 19.ტულუზა | 27 | 4 | 10 | 13 | 26-45 | 22 |
| 20.ტრუა | 27 | 2 | 8 | 17 | 20-56 | 14 |

**ჰოლანდია. ეიდივიზიონი**

გრააფსხაპი-ვიტესი ........ 2:2
აიაქსი-ექსელსიორი ........ 3:0
უტრეხტი-ტილბურგი ........ 2:1
ფეინოორდი-როდა ........ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-აროუკა ........ 0:2
სეტუბალი-ნასიონალი ........ 1:1
ტონდელა-მარიტიმუ ........ 3:4
პორტუ-მორეირენშე ........ 3:2
გრაგა-გიმარაეში ........ 3:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ვადუცი ........ 5:1
გრასჰოპერსი-სიონი ........ 3:0
ლუცერნი-სტ.გალენი ........ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-რაპიდი ........ 0:2

**ბელგია. პრო ლიგა**

ოსტენდე-გენტი ........ 5:2
ბევერენი-ანდერლეხტი ........ 1:0
ვარეგემი-მეხელენი ........ 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი ........ 4:0
ქსანთი-პანთრათიკოსი ........ 1:0
პლატანიასი-პანეთოლიკოსი ........ 1:1
პანათინაიკოსი-პაოკი ........ 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-გაზიანთები ........ 2:2
ოსმანლი-მერსინი ........ 3:1
აკხისარი-ბასაკშეჰირი ........ 0:0
გალათასარაი-ტრაბზონი ........ 2:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სპარტა-ბოლესლავი ........ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-ლეგია ........ 1:2
გურნიკი-რუხი ........ 0:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## კარდაშიანის სქესშეცვლილი მამინაცვალი კოსმეტიკის გამოშვებას იწყებს



ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის მამინაცვალმა, ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კეიტლინ ჯენერმა საკუთარი კოსმეტიკის გამოშვების დაწყება გადაწყვიტა.

კოსმეტიკური ხაზი მოიცავს სუნამოებს, ლაქს ფრჩხილებისთვის, მაკიაჟის მოსაშორებელ და კანის მოვლის საშუალებებს. 66 წლის ჯენერმა გადაწყვიტა, საკუთარი სავაჭრო ნიშანი დაერეგისტრირებინა, რათა ამით თავიდან აეცილებინა მისი იდეების მოპარვის მცდელობები.

თუ როდის გამოვა კოსმეტიკური საშუალებები გაყიდვაში, უცნობია.

## ბრიტანეთში მწეველთა რიცხვი მცირდება



დიდ ბრიტანეთში, ოფიციალური მონაცემების თანახმად, მწეველი მამაკაცების რაოდენობამ ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში თავის მინიმალურ ნიშნულს მიაღწია.

ახალი მონაცემებით, რომლებიც დიდი ბრიტანეთის ეროვნულმა სტატისტიკურმა სამსახურმა გამოაქვეყნა, მწეველი მამაკაცების რაოდენობა 2014 წელს 20 პროცენტამდე შემცირდა, მაშინ როდესაც 1974 წლის მაჩვენებელი 51 პროცენტს შეადგენდა.

ფილტვების დაავადებებთან ბრძოლის ბრიტანული ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა პენი ვუდსმა ამ მონაცემებს „იმედისმომცემი" უწოდა.

## ძაღლმა დაობლებული ოპოსუმები იშვილა



ბრაზილიაში ძაღლმა, სახელად პრეტინიამ, რომელიც ცხოველთა მომთვინიერებელ სტეფანი მალდონადუს ეკუთვნის, ხუთი დაობლებული ოპოსუმის დედობა იკისრა.

მალდონადუს თქმით, ბიძამისის ძაღლმა დედალი ოპოსუმი მოკლა, რომელსაც ახალდაბადებული ნაშიერები დარჩა. ქალმა ცხოველები თავისთან სახლში წაიყვანა, სადაც მათდამი ინტერესი მისმა ძაღლმა გამოავლინა. პრეტინია ღამით პატარებს საკუთარი სხეულით ათბობდა და მასთან დაწოლის უფლებას აძლევდა.

პირველ თვეს მალდონადუ პატარებს ყოველ ორ საათში ერთხელ რძეს აძლევდა. ახლა უკვე ოპოსუმები მყარ საკვებზე გადავიდნენ, მაგალითად, ხილზე, გასეირნების დროს კი პატარები ძაღლს ზურგზე აცოცდებიან და ასე სეირნობენ.

## ჩინელმა ძილში ხელზე იკბინა



ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანში ადგილობრივ მცხოვრებს ძილში ღორის ფეხები დაესიზმრა და შედეგად ისე ძლიერად იკბინა ხელზე, რომ მისი ნათესავი, რომელთანაც ის სტუმრად იმყოფებოდა, იძულებული გახდა, მამაკაცი საავადმყოფოში მიეყვანა.

ჩინეთში საკმაოდ პოპულარული კერძის, ღორის ფეხების დასიზმრების შემდეგ მამაკაცმა ხელის მტევანზე იმდენად ძლიერად იკბინა, რომ სისხლდენა დაეწყო.

ამის შემხედვარე მასპინძელს ეგონა, რომ ნათესავი თავის მოკვლას აპირებდა და ამიტომ ადგილზე სასწრაფო დახმარებასთან ერთად პოლიციაც გამოიძახა.

ჩინელმა სამართალდამცავები დაარწმუნა, რომ თავის მოკვლას არ აპირებდა. მისი თქმით, ის ძილის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რა დროსაც საკუთარი ხელი ღორის ფეხად მიიჩნია. მან ისიც აღნიშნა, რომ მთვარეული იყო.

მთვარეული ჩინელი მამაკაცის ასაკი და ვინაობა უცნობია, ისევე, როგორც ის, თუ რამდენად მძიმედ დაიშავა ხელი.

ჩინეთის სამზარეულოში ღორის ხორცი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება, ხოლო ღორის ფეხების ფასი რბილი ხორცის ფასს აღემატება. მათ წვავენ ან ხრაკავენ. მათი მომზადების უამრავი რეცეპტი არსებობს.

## ხუთი წლის ბავშვმა უსინათლო ბებია გადაარჩინა



ამერიკის ლუიზიანის შტატის ქალაქ კენერში ხუთი წლის გოგონამ კლოი ჰუდსმა თავისი უსინათლო ბებია დაღუპვისგან იხსნა, ალმოდებული სახლიდან გამოიყვანა.

— მან დედაჩემს აუხსნა, რომ მისთვის მხრებში უნდა ჩაევლო ხელები და ასე გამოსულიყვნენ ცეცხლმოკიდებული სახლიდან, — განაცხადა ბავშვის დედამ შონ არსენოუმ, რომელიც შემთხვევის დროს სახლში არ იმყოფებოდა.

მას შემდეგ, რაც გოგონამ ალმოდებული სახლიდან ბებია და ძაღლი გამოიყვანა, მეზობლებთან გაიქცა, რათა სამაშველო სამსახურში დაერეკა.

კლოის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლის ბრიტანი გეილოტის თქმით, 2015 წლის ოქტომბერში ბავშვები ადგილობრივ სახანძრო განყოფილებაში ჰყავდა ექსკურსიაზე, რომლის დროსაც ბავშვებს განუმარტეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ხანძრის შემთხვევაში.

ამ შემთხვევის შემდეგ დაზარალებული ოჯახის დასახმარებლად სოციალურ ქსელში გაიხსნა ვებგვერდი. ამ მომენტისთვის უსახლკაროდ დარჩენილებისთვის 2,6 ათას დოლარამდე თანხაა შეგროვებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მერკელს ფასტფუდი ყვარებია

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბრიუსელში ევროკავშირის შემადგენლობაში დიდი ბრიტანეთის მომავალ ბედზე მიმდინარე მოლაპარაკებების შესვენების დროს გადაწყვიტა ფასტფუდით დანაყრებულიყო. გერმანელი პოლიტიკოსი არ დაელოდა სამუშაო სადილს, რომელიც ადგილობრივი დროით



20:00 საათისთვის იყო დანიშნული.

მერკელი თავის თანაშემწეებთან ერთად კაფეში შევიდა, სადაც იყიდა კარტოფილი-ფრი ანდალუზიური სოუსით. ეს არის მაიონეზი პომიდორით და წიწაკით.

თვითმხილველებმა გერმანიის კანცლერს ფოტოსურათები და ვიდეო გადაუღეს, რის შემდეგაც ისინი ინტერნეტში განათავსეს.

**კახა ხატიაშვილი**

სპორტი

## იოჰან კრუიფი: ბარსელონა ზიდანის მადრიდულ მომავალს დაასრულებს



ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მადრიდის რეალმა მალაგაში 2 ქულა დაკარგა.

25-ე ტურის შემდეგ ბლანკოსი ბარსელონას 9 ქულით ჩამორჩება, ლა ლიგის დასრულებამდე კი 13 ტური დარჩა.

ბარსელონას ყოფილი მწვრთნელი და საპატიო პრეზიდენტი იოჰან კრუიფი ამპლუას არ ღალატობს და რეალთან ერთად ამჯერად ახალ მწვრთნელ ზინედინ ზიდანსაც აკრიტიკებს.

იოჰან კრუიფი:

— ზიდანმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ფლორენტინო პერესს გუნდის გაწვრთნაზე დათანხმდა. ბენიტესის დანგრეული გუნდის აშენება იოლი როდია, აქედან გამომდინარე, ფრანგს დიდი კრიტიკა ელის. შესაძლოა, ახლა არც ერთი ქომაგი არ ლანძღავს ლეგენდას, მაგრამ პირადად ჩემი აზრით, ბარსელონა ზიდანის მადრიდულ მომავალს დაასრულებს. სუპერკლასიკო გვიახლოვდება. თუ რეალი ასეთი დაცვით ბარსელონასთან ჭიდილს გეგმავს და რამის იმედი აქვს, ძალიან ცდება.

ჩვენს ნანატრსა და საყვარელ შვილიშვილს

ანანო მინაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს, სასიხარულო და საამაყო ოჯახის შექმნას.

ვუსურვებთ უფლის წყალობას.

მანჩო (მანანა) ბებო, ჯემალი ბაბუა (პაპა)

## ასტროპროგნოზი
### 23 თებერვლისათვის



**ვერძი** — ნუ იქნებით ზედმეტად პრინციპული. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. მზად იყავით ცვლილებებისათვის პირად ცხოვრებაში. **კური** — მშვენიერი პერიოდია საპირისპირო სქესთან ურთიერთობისათვის. შესაძლოა დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ. **ტყუპები** — მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა. გაგიძლიერდებათ ინტუიცია. თქვენს ტალანტს ეფექტურად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — წარმატებული იქნება საქმიანი კონტაქტები. თქვენი ავტორიტეტი პარტნიორების თვალში მაღლდება. **ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. პირად ცხოვრებაში ნეგატიური ტენდენციები ჭარბობს. **ქალწული** — გიუარესდებათ ურთიერთობა ახლო მეგობრებთან. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა სამომავლოდ გადადეთ. **სასწორი** — კრიტიკული დღეა. წარმატებას მხოლოდ დაუღალავი შრომისა და წვალების ფასად მიაღწევთ. ნებისმიერი ინიციატივა გაუმართლებელია. **ღრიანკალი** — პასიური დღეა. ენერგეტიკული პოტენციალი შესუსტებულია. გაღიზიანებული და გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** — მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. იყავით თავდაჭერილი და ზომიერი. **თხის რქა** — სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. პირად ცხოვრებაში ნეგატიური ტენდენციები ჭარბობს. **მერწყული** — დროა სულიერ ცხოვრებაზე იზრუნოთ. გარშემომყოფებისადმი მეტი ლოიალობა და სითბო გამოავლინეთ. **თევზები** — კარგი პერიოდია მივლინებებისათვის, საქმიანი შეხვედრებისათვის. წარმატება გელით პირად ცხოვრებაშიც. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დუქნის დახლიდარი; 2. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 3. ნავსადგური უკრაინაში; 4. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 5. ტრაგედია „ჰამლეტის" პერსონაჟი; 10. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 11. წარმოების, ორგანიზაციის მართვა; 12. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 15. პირი ნავსადგურში, რომელიც განაგებს გემების ჩატვირთვა-გადმოტვირთვას; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 20. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი რაჭაში; 7. სამშობიარო სახლის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. თიხის ფლეიტა; 9. ხელოვნური თმა; 13. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 18. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 19. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ჟესტიკულაციით გადმოცემული უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა; 24. სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. თალგამი; 3. ვენახი; 8. პრიორი; 10. აბრაზია; 11. ისანი; 12. მიმისტი; 14. აჩკაწა; 15. კაიმანი; 16. ნატრი; 19. მალაგა; 20. კოპასი; 21. ინტინა.

**შვეულად:** 1. თვალსაჩინო; 2. მდაბიო; 3.ვაგზალი; 4. ხორხი; 5. თრიფსინი; 6. რომბი; 7. კიმბალი; 9. ბანდაი; 13. მაზლი; 17. ტანი; 18. მეი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სტანიცა; 2. ტიბეტი; 3. იზა; 4. აცე; 5. რეგრესია; 6. კარატე; 7. მეტანია; 8. ეტაჟერი; 9. ჟაკანი; 10. ივრითი; 11. ანდამატი; 12. კარაქი; 13 კატონა; 14. ნიკ; 15. ილი; 16. რუ; 17. ბანდა; 18. ნიკე; 19. ადამ; 20. რაე; 21. ესტამპი; 22. პა; 23. პითაგორა; 24. ას; 25. სევილია; 26. მინარეთი; 27. ტბა; 28. ეტრატი; 29. ლირა; 30. ილიამნა; 31. კლიო; 32. აია; 33. ევა; 34. ომარ; 35. ელერონი; 36. ავი.

**სურათებზე:** ბეტი დევისი; დავიდ ვილია.

# ქეთევან დუმბაძე: „კულტურისთვის არ უნდა ენანებოდეს ქვეყანას თანხების გამოყოფა!“



ნოდარ დუმბაძის შვილი და კულტურის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტებს ახსენებს და მიაჩნია, რომ კულტურა ქვეყნის ფრონტის წინა ხაზია, ამიტომაც სწორედ კულტურისთვის არ უნდა ენანებოდეს ქვეყანას თანხების გამოყოფა.

**ქეთევან დუმბაძე:**

„მოვუსმინე ქადაგიძეს, კულტურის სამინისტროს გაუქმების აუცილებლობაზეც ისაუბრა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ქართული ლიტერატურის თარგმნასა და პოპულარიზაციას, მუზეუმებს, კინოს, თეატრებს, ფოლკლორულ ანსამბლებს, ორკესტრებს, სახელოვნებო განათლებას და ა. შ. ხომ გაკოტრება და განადგურება დაემუქრება!

ვინ დააფინანსებს უამრავ საინტერესო ინიციატივას, ვინ შეუწყობს ხელს ნიჭიერი შემოქმედების გამოვლენას, მათ ასპარეზზე გამოსვლას, რამდენი ლიტერატურული ჟურნალი დაიხურება, რამდენი პრემია არ გაიცემა, რამდენი წიგნი არ გამოიცემა, გამოფენა არ ჩატარდება, კონცერტი და ფესტივალი ჩაიშლება, ამაზე თუ უფიქრია ქადაგიძეს? მით უმეტეს მაშინ, როცა კერძო სექტორი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სრულიად არ ზრუნავს ქართულ კულტურაზე!

დღეს რომ კულტურის სამინისტრო გავაუქმოთ, გაუქმდება შესაძლებლობა, გვიცნობდეს მსოფლიო, როგორც უძველესი კულტურის ერს. კულტურამ მოიტანა ეს ქვეყანა აქამდე, თუ რამით ვამაყობთ და თავი მოგვაქვს – კულტურით. კულტურა ქვეყნის ფრონტის წინა ხაზია! სტრატეგიაც და ტაქტიკაც! გნებავთ, თავდაცვისუნარიანობაც!

რაო, ბატონებო, სულიერების გეშინიათ!?

სწორედ კულტურისთვის არ უნდა ენანებოდეს ქვეყანას თანხების გამოყოფა!

სწორედ კულტურით უნდა ვიწყებდეთ საინფორმაციო გამოშვებებს და არა, ისე, როგორც დამკვიდრდა – სპორტისა და ამინდის შემდეგ წუთნახევრიან სიუჟეტებში რომ ვატევთ კულტურის მიღწევებს.

კულტურის მოღვაწეებს რას უპირებს ნეტავ ქადაგიძე? რაში გვჭირდებიან, ჩავრეცხოთ, არა?!

# მედეა ჯაფარიძე 86 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს მშვენება მედეა ჯაფარიძე 86 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე ოჯახის წევრებმა და უახლოესმა მეგობრებმა დიდუბის პანთეონში მსახიობის საფლავზე გასვლით და მისი გახსენებით აღნიშნეს.

მედეა ჯაფარიძე ქართველ ქალ მსახიობთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ხელოვანად არის მიჩნეული. რეზო თაბუკაშვილის მეუღლემ არაერთი წინააღმდეგობა გადაიტანა იმისთვის, რომ საკუთარი პრინციპებისთვის არ ეღალატა.

მსახიობობა მისი სულიერი მოწოდება იყო და საყვარელ საქმეს სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა.

მისი კარიერა ნაძალადევის კულტურის სახლთან არსებულ ხალხური შემოქმედების თეატრში დაიწყო.

მედეა ჯაფარიძე სიცოცხლის ბოლომდე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში ისმენდა გიორგი ტოვსტონოგოვის ლექციების კურსს მსახიობის ოსტატობაში.

მოგვიანებით მივლინებული იყო მოსკოვში, ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სტუდიაში, სადაც რუსულ ენაზე შეასრულა კლეოპატრას როლი ბერნარდ შოუს პიესაში „კეისარი და კლეოპატრა“. სულ მალევე დაბრუნდა სამშობლოში და მთელი ცხოვრება ქართულ კინოსა და თეატრს შეალია.

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მან შექმნა არაერთი უბრწყინვალესი სახე, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული თეატრის უმდიდრეს ისტორიაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მის მიერ შესრულებული კინოროლებიც, თუმცა მედეა ჯაფარიძის შემოქმედების სავიზიტო ბარათად ქეთოს როლია აღიარებული ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმიდან „ქეთო და კოტე“.

მედეა ჯაფარიძემ თავისი ცხოვრება რეჟისორსა და საზოგადო მოღვაწეს რეზო თაბუკაშვილს დაუკავშირა. მათ სიყვარულზე თბილისში ლეგენდები დადიოდა:

– ჩემო მედიკო! კი არ მაგონდები, მელანდები. რამდენიმეჯერ გამოვეკიდე კიდეც უცნობებს. გელოდი ქუჩებში, მეტროსთან, შენს სტუდიასთან და დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდა მეპოვნე.

შემოვიარე ის ადგილები, სადაც მე და შენ ხშირად დავდიოდით და გვიყვარდა. ყველაფერი დამხვდა ძველებურად, ისევ ის ქუჩები, ის სახლები, თითქოს ვიტრინებშიაც არაფერი შეცვლილა და ვგრძნობდი მაინც, რომ აღარ იყო აღარც ის ქუჩები, აღარც ის სახეები, აღარც ის სახლები.

შენ წახვედი და ყველაფერი შენთვის დაიტოვე. მე კი ყველაფერი ეს შენში მყვარებია, საშინელებაა ცარიელ ქალაქში ცხოვრება, ისეთი გრძნობაა, თითქოს გადმოგაგდეს გაქანებული ვაგონიდან, მატარებელი კი ღამეში დაიკარგა. მომაგონდები და მეკუმშება გული, თითქოს ტვინსაც ფოლადის თითებში სრესენ, აუტანელი, მტკივნეული გრძნობა მეუფლება, მე კი ამისთვის არ ვყოფილვარ მზად, რას არ მივცემდი, ერთი წუთით რომ შემახედა შენთვის, დამაკოცნია შენი პატარა ხელები, რა ვქნა ჩემო „ტაიტი“, ავადმყოფურად მყვარებიხარ თურმე, – ასეთ წერილებს სწერდა რეზო თაბუკაშვილი თავისი ოცნების ქალბატონს.

მედეა ჯაფარიძე 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# დმანისის ჰომინიდები ფილიპინებში გამოიფინა



დმანისის უნიკალური აღმოჩენები ფილიპინებში მანილას ათენეოს უნივერსიტეტში გამოიფინა. „მოგზაურობა კაცობრიობის ისტორიაში: პირველი ადამიანები აფრიკის გარეთ – ჰომინიდები დმანისიდან“ – ასე ჰქვია ექსპოზიციას, სადაც წარმოდგენილია დმანისში აღმოჩენილი 1.8 მილიონი წლით დათარიღებული უძველესი ადამიანის თავის ქალების, ცხოველთა ნაშთებისა და ქვის იარაღების ასლები. გამოფენის მიზანია დამთვალიერებელთათვის დმანისის უნიკალური აღმოჩენების და ადამიანის წარმოშობის ისტორიის გაცნობა მეცნიერული მტკიცებულების საფუძველზე.

მსგავსი ფორმატის გამოფენა ფილიპინებში პირველად იმართება. გამოფენის ფარგლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ წაიკითხა ლექცია „პირველი ადამიანები ევრაზიაში“.

გამოფენა ფილიპინებში 7 თვის განმავლობაში გაგრძელდება და იმოგზაურებს ქვეყნის შვიდ წამყვან უნივერსიტეტში, სადაც 200.000-ზე მეტ სტუდენტს მიეცემა გამოფენის ხილვის შესაძლებლობა. გამოფენის პარალელურად, მასპინძელ უნივერსიტეტებში გაიმართება ლექციები და არქეოლოგიის ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ფილიპინებში მოგზაური გამოფენის მონაწილე უნივერსიტეტებია მანილას ათენეოს უნივერსიტეტი, ხოსე რიზალის უნივერსიტეტი, სანტო ტომასის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთის უნივერსიტეტი, ფილიპინების დილიმანის უნივერსიტეტი, დე ლა-სელის უნივერსიტეტი და ფილიპინების სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# სტეფანე: „რა სიბნელეა!“



მომღერალი სტეფანე საქართველოს პარლამენტის წევრებს აკრიტიკებს და სიბნელიდან გამოსვლას ურჩევს. მუსიკოსი თვლის, რომ დროა პარლამენტარები კომუნისტების მიერ გაცემული ბანძი დიპლომებით მარიაჟობას მორჩნენ და თანამედროვე ინფორმაციებს ზედმიწევნით გაეცნონ.

სტეფანე:

– ეს პარლამენტარები და ვითომ ნარკოლოგები, მარიხუანის წინააღმდეგ რომ გამოდიან.... ხომ შეიძლება ზრდილობის გამო ინტერნეტში ბოლო ინფორმაცია მოიძიონ, როდესაც ესეთი ხელმისაწვდომია ყველაფერი და კომუნისტების მიერ გაცემული, ბანძი დიპლომებით არ გვემარიაჟონ?! რა სიბნელეა! რა სამარცხვინოები არიან!

პ.ს: 15 წელია ყოველდღე მარიხუანას ვეწევი და არაფერი მძიმე არ მიმიღია არასდროს და სურვილიც არ გამჩენია. ეხლა რამდენიმე დღეა არ მომიწევია, იმიტომ, რომ ვერ ვშოულობ, არც ლომკა მაქვს და აგრესიულიც არ ვარ, მეყანწეებისგან განსხვავებით!

# სალომე ქათამაძე და მარიამ აბდუშელიშვილი ამერიკულ „ვოისში“ მონაწილეობენ



ამერიკული „ვოისის“ ახალი სეზონი სტარტს 29 თებერვალს აიღებს. სხვა კონკურსანტებთან ერთად, მასში ორი ქართველი მომღერალიც მონაწილეობს. სალომე ქათამაძეს და მარიამ აბდუშელიშვილს ეტაპების 80% პროცენტი უკვე გადალახული აქვთ.

ინფორმაცია ქართული „ვოისის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– „ვოისის“ პირველი სეზონის გამარჯვებული სალომე ქათამაძე და მესამე სეზონის მონაწილე მარიამ აბდუშელიშვილი ამერიკული „ვოისის“ ქასთინგზე წარდგებიან. მათ ძალიან ცოტა აშორებთ ბრმა ქასთინგამდე. „ვოისის“ გუნდი წარმატებას უსურვებს გოგოებს! ახალი სეზონი 29 თებერვალს იწყება! სულ რამდენიმე დღეში გვეცოდინება, იქნებიან თუ არა სალომე და მარიამი! მათ ეტაპების 80 პროცენტი გადალახეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები

გულიკო ბალაძე, თენგიზ დარბაიძე და გიგა დარბაიძე თანაუგრძნობენ

თამაზ და გია მაჭარაშვილებს ძვირფასი მეუღლისა და დედის

**ქეთინო (გულო) კირვალიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**სამშაბათი 23 თებერვალი**

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება ვენეციაში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ცხოვრება ციფრებში" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.54** "ეპოქის ფრაგმენტი" **22.59** "კომუნიკატორი" **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 1"8 ფინალური მატჩი: **არსენალი – ბარსელონა 01.40** მხ/ფ "**ერთი ქალის ამბავი**" (ა.ჟირარდო)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **13.00** დ/ფ "მესამე ხანა" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" მერვედ ფინალი: **იუვენტუსი – ბაიერნი**

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.00 2016** წლის BAFTA-ს დაჯილდოების ცერემონია **01.00** მხ/ფ "**კაცი ჩანთით**" **03.00** მხ/ფ "**მთელი ცხოვრება მის თვალწინ**" (ი.რ.ვუდი) **04.30** ერთხელ საქართველოში **05.00** მხ/ფ "**ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ**" (ვ.ალენი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery ფილმების მეცნიერება **10.00, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ცენტრი**" **16.30** აირჩიე კაბა **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.30** მხ/ფ "**სახიფათო კავშირები**" **0.45 ID Extra** სასჯელს თითქმის გავექეცი **1.40,** URBAN STORIES

**06.10** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" II ნაწ. **07.00** დ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ **10.40** ზღვარზე (ნარკომანია)– ავლანეთი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "ანიმაცია–ლელა ტაბლიაშვილი" **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ან/ფ **15.40** კონცერტი "რობერტ ბარძიმაშვილი 80" **17.10** მგზავრები წუთისოფლისა "არგვეთი" **17.45** სიბრძნისმეტყველება-სიბრძნე ზირაქისა და სიბრძნე სოლომონისა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სჯანი **19.50** ღია აუდიტორია **20.30** კვირიაკის სიუჟეტი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები" **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.00** სიახლენი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**კარმელიტა 15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
Akhali Taoba
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**23 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4795 | ევრო — 2.7522 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5472 | 100 რუსული რუბლი — 3.2407 |

## ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისთვის




კალეიდოსკოპი

## ჩინელს ტერმიტებმა ფული შეუჭამეს



ჩინეთის პროვინცია სიჩუანში ტერმიტებმა ფერმერს გადანახული ფული, 20 ათასი იუანი (3 ათასი დოლარი) შეუჭამეს.



60 წლის ცი შენლის არ ახსოვს, თუ როდის გადამალა ფული თავის საძინებელში.

– შესაძლოა ორი წლის წინ, – ამბობს ფერმერი. მან ფულის ასე შენახვა იმის გამო გადაწყვიტა, რომ არ აწყობდა ის პირობები და გასავლელი ფორმალობები, რომლებიც ფულის ბანკში დეპოზიტზე შესანახად იყო აუცილებელი. მას ასევე ეშინოდა, რომ პაროლი ან კოდი დაავიწყდებოდა, როდესაც მათ გამოტანას დააპირებდა.

ცი შენლიმ ბანკნოტები ორ პაკეტში მოათავსა, საძინებელში 15 სანტიმეტრის სიღრმის ორმო ამოთხარა და ზევიდან აგური დააფარა. ახლა კი გაირკვა, რომ ფულის დიდი ნაწილი ტერმიტებმა შეჭამეს. ბანკში ფერმერისგან მხოლოდ 600 იუანის ბანკნოტები მიიღეს.

## რომის შადრევნებში ბანაობა აკრძალულია




რომის ხელისუფლებამ ქალაქის შადრევნებში ბანაობისთვის ჯარიმის ოდენობა გაზარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი იტალიური გამოცემა ავრცელებს. ასეთი გადაწყვეტილება იმ ინციდენტების გამო იქნა მიღებული, რომლის დროსაც ტურისტები ქალაქის სახელგანთქმულ შადრევნებში ბანაობდნენ. მაგალითად, არც ისე დიდი ხნის წინ ოთხი მდინარის შადრევანში შიშველმა მამაკაცმა იბანავა.

მინიმალური ჯარიმა 30 ევროდან 300 ევრომდე გაიზარდა, ხოლო მაქსიმალური 300-დან 500 ევრომდე იქნება. როგორც ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება ან მათთვის საფრთხის შექმნა დაუშვებელია. კერძოდ, ხელისუფლებამ საზოგადოებრივ შადრევნებში ბანაობა აკრძალა.

## ბრიტანელები ფრანგულ კრუასანებს გაასწორებენ



ბრიტანული სუპერმარკეტების ქსელმა ტესკომ გადაწყვიტა, უარი თქვას ტრადიციულ მოღუნული ფორმის კრუასანებზე. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემამ განმარტა, რომ ამ ცვლილების მთავარ მიზეზს „წასმის კოეფიციენტი“ წარმოადგენს. კერძოდ, ბევრი ბრიტანელისთვის მოუხერხებელი იყო მოღუნული ფორმის ნამცხვარზე ჯემის ან კარაქის გადასმა. ამიტომ სუპერმარკეტში გადაწყვიტეს, მათზე უარი ეთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ თავად სიტყვა „კრუასანი“ „ნახევარმთვარეს“ ნიშნავს.

– მას შემდეგ, რაც კრუასანებზე მოთხოვნილება შემცირდა, მყიდველებს შორის გამოკითხვა ჩავატარეთ. დაახლოებით 75 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი სწორი ფორმის ფუნთუშებს ამჯობინებდნენ, – განმარტა ტესკოს ქსელისთვის კრუასანების შემსყიდველმა ჰარი ჯონსმა.

ფირმის ამ გადაწყვეტილებამ ფრანგების აღშფოთება გამოიწვია. სოციალურ ქსელებში გაჩნდა კომენტარები, რომელშიც ფრანგები ბრიტანელების ევროკავშირიდან გაძევებას მოითხოვენ. ზოგიერთმა კი წინადადება წამოაყენა, რომ ინგლისელებისთვის კრუასანების სწორად ჭამა ესწავლებინათ, ხოლო ნაწილმა დიდი ბრიტანეთისთვის ომის გამოცხადებაც კი მოითხოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**23 თებერვლიდან**

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

გაბრიელ გარსია მარკესი

**იცხოვრო, რომ მოჰყვე**




წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ

**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**

## ნიკოლა სარკოზი სტადიონზე არ შეუშვეს

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი პსჟ-ს თავგადაკლული ფანია და მის თამაშებს ხშირად სტუმრობს ხოლმე.

ლილთან შეხვედრაზე სარკოზიმ 10 წუთით დააგვიანა, რის გამოც სტადიონის დაცვამ ის შიგნით არ შეუშვა.

როგორც ჩანს, საფრანგეთში კანონი მართლაც ყველასთვის ერთია. რაც შეეხება სარკოზის, მან ჭკუა ისწავლა და შემდეგ მატჩზე რეიმსთან შეხვედრის დაწყებამდე გამოცხადდა სტადიონზე, რის შემდეგაც თავისი საყვარელი გუნდის გამარჯვებაც იხილა.



## ალექსის სანჩესი: „ბარსელონას დამარცხება შეგვიძლია“



არსენალის და ბარსელონას შეხვედრა ყველა ფეხბურთის გულშემატკივრის დიდ ინტერესს იწვევს.

მოგეხსენებათ, რომ არსენალის ღირსებას ბარსას ყოფილი ფეხბურთელი ალექსის სანჩესი იცავს, რომელმაც კატალონიელებთან დაპირისპირებაზე ისაუბრა.

– ბარსელონასთან შეხვედრა ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან ჩემი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვთამაშობ. ბარსელონაში ბედნიერი ვიყავი, მაგრამ წასვლას არ ვნანობ, რადგან აუცილებელი იყო ცვლილება და ახალი გუნდი.

არსენალში გადასვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ბარსელონას უამრავი ვარსკვლავი ჰყავს, ამიტომ მათი შეჩერება რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. არსენალს საკუთარ მოედანზე ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია, – განაცხადა არსენალის ჩილელმა ფორვარდმა

სანჩესმა ბარსელონაში 3 სეზონი გაატარა და 39 გოლის გატანა შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## იუმორი

•••

გლეხის ქალი ბაზარში თაფლს ყიდის. მივა ერთი კლიენტი და ერთხელ ამოუსვა თითი და გაილოკა, მეორედ, მესამედ და მეოთხედაც, რომ ჩაყო თითი თაფლში, ქალი ეუბნება:

– თუ ყიდულობ, იყიდე მაი თაფლი, თუ არადა, ნუ ურევ თითებს შით.

– რა არის, ქალბატონო, ფუტკრის ნაქნარს იმადლები?

– ფუტკრის როა, იმიზა ვიმადლები, თორემ ჩემი რამდენიც გინდა მიირთვი.

•••

რაიონის სამშობიაროში ისეთი მახინჯი ბავშვი დაიბადა, ექიმმა ატირებული მშობლები რომ ვერ დააწყნარა, ბოლოს ეუბნება:

– ნუ გეშინიათ, საფრთხობელად ქე ივარგებს, მარა სახეზე ჩამოაფარეთ რაცხა...

•••

სოფლის გამგეობის შენობას ხანძარი გაუჩნდა. სახანძრო მანქანის მძღოლი ერთ-ერთ სოფლელს ეკითხება:

– გამგეობასთან რომელი გზით მივალ უფრო მალე?

– მომისმინე, ძამა, აგერ „პავაროტი“ როა, მაგის მერე 2 კილომეტრს გაივლი აღმართს და იქვეა.

– ოჰ, მაგი შორია, სხვა გზა არაა?

– კი, აგერაა მეორე გზა, მაგრამ სასწაული ცუდი გზებია.

– არც მაგი ვარგა, დამტვრეულ გზებზე ვერ ვიარ.

– აბა, მაშინ, აგერ ვარ მე და მომასხი, მაი წყალი.

•••

კაცს ნაცნობი ეუბნება:

– კი მერიდება, მაგრამ უნდა გითხრა.

– რა ხდება?

– შენ რომ სამსახურში ხარ, შენს ცოლთან კაცების რიგი დგას.

– ვიცი, მაგრამ რა ვქნა?

– რა და გაეყარე მაგ კახპას!

– და მერე მეც რიგში ჩავდგე, არა?!

•••

ადიდებულ მდინარეს კაცი მოაქვს და აქეთ-იქით ახეთქებს. ამ დროს ნაპირზე მდგომი თანასოფლელი გასძახებს:

– რას შობი, ძამა?

– რას ვშობი და ქვირითს ვყრი, შე შობელძაღლო!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 2. 50-იანი წლების ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 3. სათხილამურო სპორტის სახეობა, თანამედროვე ორჭიდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. ქართველი რაგბისტი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. მოკლელულიანი შაშხანა; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების კავშირი, გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. სომხური ცეკვა.

**თარაზულად:** 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 18. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ლოყა ანუ...; 23. ესპანელი აზნაური; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი